საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 8 ოქტომბერი. 2019 წ. №199 (8865) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



გიორგი გოგოხია:

უკურნებელი სენი დავამარცხე, იმედია, ნაციონალებსაც დავამარცხებ! 6

სიმართლეს ვერსად დავემალებით...

ბავშვთა დაცვის ახალი გარანტიები 5

დეკემბერში გიორგი გახარიას კრემლში ელოდებიან(?) 8



ილია მეორე:

თქვენ არ გაგიჭირდებათ ოკუპაციის პრობლემის ადგილიდან დაძვრა

სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდა.

მოხარული ვარ, თქვენო უწმინდესობავ, ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა, – ასე მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა. ილია მეორემ სტუმრები დალოცა, რის შემდეგაც ერთობლივი განცხადებები გაკეთდა.

„გულითადად მოგესალმებით თქვენ, თქვენს მეუღლეს და თანმხლებ პირებს საქართველოს ეკლესიის სახელით და პირადად ჩემი სახელით. თქვენი ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენი ხალხი დიდი იმედით უყურებს თქვენს ვიზიტს. მოგეხსენებათ, პრობლემები ბევრია მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. მიგვაჩნია, რომ ყველაზე დიდი და მტკივნეული პრობლემა არის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. 20 პროცენტი მიტაცებული არის უცხო ქვეყნის მიერ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ რუსეთსაც მძიმე ტვირთად აქვს ეს პრობლემა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ეს პრობლემა გადაწყდეს. მიგვაჩნია, რომ გერმანიას აქვს იმდენი ძალა და ავტორიტეტი, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. ჩემი აზრით, სამხედრო ბაზები უნდა იყოს აღებული ამ ტერიტორიებიდან. თქვენ ისეთი გზა გაქვთ გამოვლილი დიპლომატიურ მუშაობაში, რომ არ გაგიჭირდებათ ამის ადგილიდან დაძვრა. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და იმედით ვუყურებთ თქვენს ვიზიტს“, – მიმართა ილია მეორემ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს.

ივანიშვილი კახელებს შეხვდა

„ოცნების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, ივანიშვილი გუშინ კახეთის საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, საომავლო გეგმებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე, პარლამენტის დეპუტატები დავით მათიკაშვილი, დავით სონღულაშვილი, ირაკლი შიოლაშვილი, გელა სამხარაული, გურამ მაჭარაშვილი, რომან მუჩიაშვილი, რეგიონულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და პარტიის აქტივი. **პარტიის თავმჯდომარე უკვე შეხვდა დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ორგანიზაციებს.**

სკანდალი

რუსეთს ზედიზედ ორი ოლიმპიადის გამოტოვება ემუქრება!

რუსული სპორტისთვის საგანგაშო ვარაუდებს გამოთქვამს ქვეყნის ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტი იური განუსი.

მისი თქმით, მსოფლიოს ანტისადოპინგო საგენტოში დარწმუნებულნი არიან, რომ მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის მიერ ამ ორგანიზაციისთვის გადაცემული მონაცემები შეგნებულად არის გაყალბებული. მოვლენათა განვითარების ყველაზე ცუდი ვარიანტია – რუსი სპორტსმენების ტოტალური ჩამოშორება ოლიმპიური თამაშებიდან. თანაც ლაპარაკია ორ ოლიმპიადაზე.

„არსებობს საფრთხე, რომ გამოვტოვებთ ორ უახლოეს ოლიმპიადას – 2020 წელს, ტოკიოში ზაფხულის თამაშებს და 2022 წელს, პეკინში ზამთრის თამაშებს. ბევრი ვერ აცნობიერებს იმას, რომ სწორედ ამგვარი შეიძლება იყოს სასჯელი. ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ ვიმოქმედოთ მშვიდად და საღი გონებით. ჩვენი სპორტი ისედაც სერიოზულად დაზარალდა რიჩარდ პაუნდისა და რიჩარდ მაკლარენის ანგარიშების შემდეგ. მართალია, შარშან დაგვიანებით შევასრულეთ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მოთხოვნები, მაგრამ მაინც მივაღწიეთ რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს უფლებამოსილების აღდგენას და გავიარეთ ეს რთული სიტუაცია. თუ ახლა მორიგ სანქციებს მივიღებთ, კიდევ უფრო რთული პრობლემების წინაშე დავდგებით და უკვე აღარ ვიცი, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამოვიდეთ არა ამ ორმოდან, არამედ, უფსკრულიდან“.

განუსმა აღნიშნა, რომ ბრალდება არ ეხება მის ორგანიზაციას: **მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს წერილი მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის სპორტის მინისტრის პაველ კოლობკოვის მისამართით.**

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი: ყოველთვის შეგიძლიათ, გქონდეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური მხარდაჭერის იმედი

ყოველთვის შეგიძლიათ, გქონდეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური მხარდაჭერის იმედი, — ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს განაცხადა.

— მჭიდრო თანამშრომლობა ახსენეთ, ქალბატონო პრეზიდენტო, საქართველოსა და გერმანიას შორის, მათ შორის ევროკავშირისა და ნატოს ფორმატი. თქვენ იცით, რომ გერმანია არის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისა. ჩვენ გვაქვს საამაყოდ ინტენსიური თანამშრომლობა ამ ორი ორგანიზაციის ფარგლებში. ჩვენ ვაცნობიერებთ, თქვენც ხაზი გაუსვით ამას, რომ საქართველოს არ ჰყავს, მარტივად რომ ვთქვათ, ხელსაყრელი სამეზობლო, არ არის მარტივი გეოგრაფიული მდებარეობა. მე ხვალ თავად მივემგზავრები ადმინისტრაციული საზღვრისკენ, მივუახლოვდები ცხინვალის რეგიონს, ე.წ სადემარკაციო ხაზს. თქვენ ახსენეთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ყოველთვის შეგიძლიათ, გქონდეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური მხარდაჭერის იმედი, — განაცხადა შტაინმაიერმა.

„შტაინმაიერის ფორმულა“: კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!

„შტაინმაიერის ფორმულა“ არის მცდელობა, დიდი ნაბიჯები გადაკეთებულიყო, გარდაქმნილიყო შედარებით მცირე ნაბიჯებად, — ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტის კითხვაზე, რომელიც უკრაინისთვის „შტაინმაიერის ფორუმლას“ ეხებოდა.

უკრაინის საკითხთან დაკავშირებით კითხვაზე — **„რა გავლენა ჰქონდა რუსეთს ამ ფორმულის შემუშავებაზე და რა იყო თქვენი ჩართულობა“,** შტაინმაიერი პასუხობს, რომ არანაირი გავლენა.

„არანაირი. სამი წლის წინათ პარიზში, ეს იყო ნორმანდიული ფორმატი, მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ წინ მაინცდამაინც არ წასულა პროექტები, რომლებიც მინსკის შეთანხმებისამებრ უნდა განხორციელებულიყო, უნდა დანერგილიყო. ფორმულა არის მცდელობა, დიდი ნაბიჯები გადაკეთებულიყო, გარდაქმნილიყო შედარებით მცირე ნაბიჯებად, რათა ეს ყოფილიყო მარტივად განსახორციელებელი, მარტივად გადასადგმელი“, — განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა.

მემორანდუმი კულტურის სფეროში თანამშრომლობაზე

ქართულ-გერმანული **კულტურული მემორანდუმი გულისხმობს გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობას კულტურებს შორის, კულტურის წარმომადგენლებს შორის.**

ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტის კითხვაზე, რას გულისხმობს ქართულ-გერმანული კულტურული შეთანხმება.

„ეს მემორანდუმი არის გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობა კულტურებს შორის, კულტურის წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანი არის შრომის უსაფრთხოება კონკრეტულ დაწესებულებებში და გადაზღვევა ე.წ. კულტურული შუამავლებისა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსა და გერმანიას შორის“, — აღნიშნა გერმანიის პრეზიდენტმა. შტაინმაიერმა სალომე ზურაბიშვილთან ერთობლივი განცხადებებისას აღნიშნა, რომ ორივე ქვეყანას ბევრი რამ აერთიანებს და, უწინარეს ყოვლისა, ეს არის ქართულ-გერმანული კულტურული მემორანდუმი. **„ეს არის კულტურული ურთიერთობების ამსახველი მემორანდუმი, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინათ შეესხა ხორცი და მოხდა ხელმოწერა“,** — განაცხადა შტაინმაიერმა.

გიორგი გახარია: პრეზიდენტ შტაინმაიერის ვიზიტი ადასტურებს, რომ...

საქართველოს **ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გერმანიის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და თქვენი ოფიციალური ვიზიტი ადასტურებს, რომ გერმანია საქართველოს საიმედო პარტნიორად მიიჩნევს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან შეხვედრისას განაცხადა.

შეხვედრისას ხაზი გაესვა სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას და ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გააქტიურების მიმართულებით არსებულ პოტენციალს. გერმანიის პრეზიდენტის შეფასებით, საქართველო ეკონომიკური რეფორმების კუთხით ლიდერია და ამ სფეროში არსებული პარტნიორობის დინამიკა მისასალმებელია.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა დასავლელი პარტნიორების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებული მოვლენების მაღალ დონეზე დაყენების მნიშვნელობას, როგორც საერთაშორისო, ისე — რუსეთთან ორმხრივ ფორმატებში.

თომას ბარაისი: ბევრი გერმანელი გამოთქვამს სურვილს, განავითაროს ბიზნესი საქართველოში

„ბევრი **გერმანელი გამოთქვამს სურვილს, განავითაროს ბიზნესი საქართველოში და მე მჯერა, რომ კიდევ უფრო მეტ წარმატებულ თანამშრომლობას ექნება ადგილი,“** — განაცხადა გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური მინისტრის მოადგილე თომას ბარაისმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავასთან შეხვედრის შემდეგ.

„ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი შეხვედრა გვქონდა მინისტრთან და მე მიხარია, რომ ეს შეხვედრა აქ, თბილისში შედგა. თბილისი და მთლიანად საქართველო წამოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორ ქვეყანას გერმანიისთვის. ჩვენ ვამყარებთ წარმატებულ საქმიან ურთიერთობებს, რისი დასტურიცაა დღეს აქ მაღალი დონის წარმომადგენლობის ვიზიტი,“ — განაცხადა თომას ბარაისმა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს გასულ წელს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მიერ გაჟღერებულ ინიციატივაზე ორი ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით რეგულარული ბიზნეს მრგვალი მაგიდის ფორმატის ჩამოყალიბებაზე. მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის ბოლო 2 წელიწადში 4 ბიზნესფორუმი ჩატარდა, რომელთა თემატიკაც მოიცავდა ისეთ სექტორებს, როგორიცაა ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და სხვ.

სალომე ზურაბიშვილი: რუსეთი ბალტიის ქვეყნების ნატოში მიღების წინააღმდეგიც იყო, მაგრამ...

ნატოში **შესვლა, ეს არ არის რაღაც ნიშნების დაგროვება, არ არის გამოცდა, სადაც, თუ დააგროვე საჭირო ნიშნები, ავტომატურად მიგიღებენ,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტის კითხვაზე, რომელიც ნატოში გაწევრიანების საკითხს ეხებოდა. პრეზიდენტის თქმით, ამ საკითხში ავტომატიზმი არ არსებობს და საქართველო აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა.

„ჩვენ ვიცით, რომ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭირო არის. სხვათაშორის, ეს აღიარებულია. დღეს ჩვენ ვართ შემდეგი ჯგუფის წინამორბედები. ყველაზე უფრო ეფექტიანად ვასრულებთ დავალებებს, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული ის ერთობლივი გადაწყვეტილება, რომელიც არის ყველა ქვეყნის სუვერენული უფლება. გვაქვს დიდი იმედი და ძალიან ბევრი ჩვენი პარტნიორი ამას მხარს უჭერს. სიტუაცია ნატოში, ევროკავშირში, ნახსენები იყო ბრექსიტის საკითხი, აქ არის სხვა გარემოებები, რომელიც განაპირობებს იმას, რომ შეიძლება, ფრთხილობენ დღეს ახალი გადაწყვეტილებების მიღების მიმართ. მინდა, ერთ რამეს ხაზი გავუსვა, ეს არ ეხება რუსეთს. რუსეთი, ალბათ, ყოველთვის იქნება და წინა გადაწყვეტილებებშიც იყო კატეგორიულად წინააღმდეგი ბალტიის ქვეყნების მიღების მიმართ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაინც მიღებული იქნა“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის შეფასებით, შესაბამისად, არ უნდა შეიქმნას შეხედულება, რომ რაღაც გადაწყვეტილია ნეგატიურად ან პოზიტიურად...

კონფლიქტებთან დაკავშირებით ვისურვებდი დეესკალაციასა და დეოკუპაციას

დაძაბულ **სიტუაციასა და კონფლიქტებთან მიმართებაში ვისურვებდი დეესკალაციასა და დეოკუპაციას,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან ერთად გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე ჟურნალისტს განუცხადა კითხვაზე, რას ისურვებდა იმ დაძაბულობისა და კონფლიქტების ფონზე, რაც არსებობს საქართველოში.

„დაძაბულ სიტუაციასა და კონფლიქტებთან მიმართებაში, პირველ რიგში, ვისურვებდი დეესკალაციასა და დეოკუპაციას. თუ იმაზეა საუბარი, რა შეიძლება, რომ ახლა გაკეთდეს და რას ვითხოვთ პარტნიორებისგან, მთავარი თხოვნა არის ის, რომ საქართველო დაბრუნდეს დღის წესრიგში, არ იყოს მივიწყებული, რადგან იმის შემდეგ უკრაინაში იყო მასშტაბური კონფლიქტი, მაგრამ ეს ორივე კონფლიქტი არის ერთი სახეობის და აუცილებელია, ერთ ჭრილში იყოს განხილული, რათა ჩვენი პარტნიორები თავიანთ კონსულტაციებში ახსენებდნენ სიტუაციას, ვალდებულებებს, რომლებიც თავის დროზე აღებული იყო რუსეთის მიერ. თუ კონკრეტულ საკითხებზე გადავალთ, მაგალითისთვის, ერთი საკითხია, რომელიც შეიძლება იყოს ევროკავშირის მისიის არეალის გაზრდა იმ ადმინისტრაციულ საზღვარზე, რომ შეძლოს უფრო ეფექტური პრევენცია, რადგანაც ინციდენტები უფრო გახშირებულია და შეიძლება, რომ გადაიზარდოს დაძაბულობაში“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველის ხელფასი 25 პროცენტით შემცირდა

სახელმწიფო ელექტროსისტემის რეაბილიტაციის მმართველის ხელფასი 25 პროცენტით შემცირდა. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს კომპანიის ადამიანური რესურსებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიხეილ ზიბზიბაძემ განუცხადა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2008 წლის შემდეგ ელექტროსისტემის ხელმძღვანელის ხელფასი ყოველ წელს, 10 პროცენტით იზრდებოდა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 24 316 ლარამდე გაიზარდა.

აუდიტორების განცხადებით, ხელფასის ასეთი ცვლილება არ ეფუძნებოდა გონივრულ კრიტერიუმებს.

„სახელმწიფო აუდიტის დასკვნა შეეხება 2014-2017 წლებს. 2018 წლიდან კომპანიას მართავს ახალი მმართველი გუნდი, რომელიც დეტალურად ეცნობა დოკუმენტს. გარკვეული ცვლილებები უკვე განხორციელდა. მაგალითად, შემცირდა რეაბილიტაციის მმართველის ხელფასი 25 პროცენტით. ასევე, კომპანიამ მიიღო დონორების დახმარებით თანამედროვე კორპორაციული მართვის სისტემის დანერგვის შესახებ“, — აღნიშნა ზიბზიბაძემ.

გიორგი მიქელაძემ „იმედის“ 15-პროცენტიანი წილი მერაბიშვილის მითითებით იყიდა

შვიდი ნოემბრისა და ტელეკომპანია „იმედის“ საქმეზე ბრალდების მოწმეების დაკითხვა გრძელდება. დაიკითხა 2011 წელს „იმედის“ 15%-იანი წილის მფლობელი გიორგი მიქელაძე, რომელმაც თქვა, რომ კომპანიის წილი პირადად ვანო მერაბიშვილის მითითებით იყიდა.

გიორგი მიქელაძის თქმით, 2011 წლის ნოემბერში მას პირადად დაუკავშირდა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და შეხვედრა სთხოვა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში, მერაბიშვილის სამუშაო ოთახში შედგა.

მიქელაძემ სასამართლოზე თქვა, რომ ვანო მერაბიშვილმა მას ტელევიზიის 15%-იანი წილის შესყიდვისკენ მიუთითა. გიორგი მიქელაძის თქმით, ის მერაბიშვილის მითითებით დაუკავშირდა ტელეკომპანიის მაშინდელ ხელმძღვანელს გიორგი არველაძეს და გადაფორმდა წილები, თუმცა, მისი თქმით, ამ წილებში არცერთი თეთრი არ გადაუხდია.

კითხვაზე, რა მოხდებოდა, თუ გიორგი მიქელაძე ამ თხოვნას არ შეასრულებდა, ის ამბობს, რომ, სავარაუდოდ, მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგებოდა და „ის იქნებოდა სისტემის მტერი“. ამის შემდეგ, როგორც გიორგი მიქელაძე განმარტავს, 2012 წელს გიორგი არველაძისგან მიიღო მითითება და ტელეკომპანიის 15% მან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს დაუბრუნა.

პარლამენტმა ვანო ზარდიაშვილიც „შეჭამა“

პარლამენტს ტოვებს კიდევ ერთი დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი ვანო ზარდიაშვილი. მის მიერ დაწერილ განცხადებაში კერძოდ, ნათქვამია:

„ნამდვილად არ მინდა ვიყო პროვოკაციების წყარო იმ ადამიანების თუ პოლიტიკური ჯგუფებისთვის, რომლებიც პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას და პოზიტიური პროცესების დაზიანებას ჩემზე შეტევით თუ ტალახის სროლით ცდილობენ. დგება მომენტი, როდესაც ვალდებული ხარ, გაუფრთხილდე საკუთარ ოჯახს და შენს გუნდს. აქამდე მე ვიცხოვრე ისე, რომ არასდროს შემრცხვება სხვისთვის თვალებში ჩახედვის და ასე ვიცხოვრებ მომავალშიც, სხვებს კი მოვუწოდებ, ნაკლები სიძულვილი და მეტი საქმე აკეთონ პოლიტიკაში და გააკეთონ ეს ღირსეულად.

მე მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველოს პარლამენტი და დეპუტატის მანდატი. ამით კიდევ ერთხელ მივანიშნებ საზოგადოებას, რომ თანამდებობა არის მხოლოდ საშუალება გამოადგე შენს ქვეყანას და ემსახურო თითოეულ მოქალაქეს. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, ვუსურვო მათ წარმატება და მხარდაჭერა გამოვუცხადო ქვეყნის განვითარების საქმეში“...

პარლამენტში ვანო ზარდიაშვილს თემურ გოცირიძე შეცვლის

როგორც საქართველოს პირველ არხს გოცირიძემ განუცხადა, დეპუტატობას გეგმავს.

„ვინაიდან საარჩევნო სიაში ვარ, დეპუტატობას ვგეგმავ“, — აღნიშნა გოცირიძემ. თემურ გოცირიძე პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში 52-ე ნომერია. სიის გათვალისწინებით, დეპუტატი ირაკლი ზარქუა უნდა გამხდარიყო, რომელიც ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრია. ირაკლი ზარქუა პარლამენტის წევრობაზე უარს ამბობს და ამის მიზეზად მის ამჟამინდელ თანამდებობას ასახელებს.

რაც შეეხება ვანო ზარდიაშვილს, საქართველოს პარლამენტისა და დეპუტატის მანდატის დატოვების შესახებ მან გუშინ განაცხადა.

თბილისის მერიამ ტაქსის მანათობლების დარიგება დაიწყო

თბილისის მერიამ ნებართვის მქონე ტაქსებისთვის მანათობლების დარიგება დაიწყო. გუშინ დილიდან, შარტავას №7-ში, მერიის შენობის მეორე სართულზე ტაქსის მძღოლებისთვის სპეციალური მომსახურების სივრცეა მოწყობილი, სადაც მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული მანათობლები გაიცემა. გარდა ამისა, მერიის საპარკინგე სივრცე მხოლოდ A კატეგორიის ტაქსის მფლობელებისთვის არის გამოყოფილი, რათა მანათობლების მიღებამდე ავტომანქანების კომფორტულად დაპარკინგება და მანათობლების დამონტაჟება შეძლონ.

ამ ეტაპზე, დაახლოებით 100-ზე მეტი მანათობელია გაცემული. ნიშნების გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო. რეგისტრირებული ტაქსების რაოდენობის მიხედვით, დაგეგმილია გაიცეს დაახლოებით 6500-ზე მეტი ნიშანი. მანათობლები გაიცემა მხოლოდ A კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსებზე. მანათობლის მიღებისათვის, ტაქსის ნებართვის მფლობელმა უნდა წარადგინოს მხოლოდ პირადობის მოწმობა, ხოლო სტატუსის შემოწმება ხდება www.taxi.tbilisi.gov.ge-ზე ტაქსის ნიშნების გაცემა მოთხოვნის შესაბამისად გაგრძელდება.

მანათობლები თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ 15 000 ერთეულის ოდენობით შეისყიდა, მათგან 13 000 ერთეული არის სტანდარტული ფორმის, ხოლო — 2000 ერთეული — პანორამა სახურავისათვის. ტაქსის ნიშნებს ორი რეჟიმი აქვთ, რომელიც ფერებით გამოიხატება — მწვანე და წითელი. მწვანე ფერი მიანიშნებს, რომ ავტომანქანა თავისუფალია, ხოლო წითელი მგზავრზე მიუთითებს.

ამერიკის 2020 წლის ბიუჯეტში საქართველოსთვის $132 მილიონია გათვალისწინებული

აშშ-ის 2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში საქართველოსთვის 132 025 000 დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. ინფორმაციას ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოქვეყნდა აშშ-ის სენატის ასიგნებათა კომიტეტის მიერ 26 სექტემბერს მიღებული სახელმწიფო, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების (SFOPs) შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს აშშ-ის პრიორიტეტებს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერისა და დახმარების კუთხით. 2020 ფისკალური წლის კანონპროექტი მნიშვნელოვან ჩანაწერს შეიცავს საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისა და არაღიარების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს საქართველოსთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების უპრეცედენტო ზრდას.

კანონპროექტის თანახმად, ხსენებული კანონით გამოყოფილი დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერცერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები (აღნიშნული ჩანაწერი პირველად 2017 წელს გაკეთდა). აგრეთვე ხსენებული კანონით გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არ შეიძლება გამოიყენებოდეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) ოკუპაციის მხარდასაჭერად.

კანონპროექტი მოუწოდებს აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტს შესაბამისი ინსტრუქცია მისცეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აშშ-ის აღმასრულებელ დირექტორებს, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ნებისმიერი იმ პროგრამის დაფინანსებას (სესხის, კრედიტისა და გარანტიის ჩათვლით), რომელიც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

2020 წლის კანონპროექტში საქართველოსთვის განკუთვნილი თანხა მნიშვნელოვნად გაზრდილია და 132 025 000 დოლარს შეადგენს, რაც საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველომ მიიღო 40-მილიონიანი დაფინანსება საგარეო სამხედრო დაფინანსების ფონდის (FMF) ფარგლებში, რაც შარშანდელ თანხას 5 მილიონი დოლარით აღემატება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს 285 მილიონი დოლარის გამოყოფას ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, დასავლური ინტეგრაციის მხარდასაჭერად. კანონპროექტის თანახმად, დაფინანსების ნაწილი უნდა მოხმარდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებებისა და სავაჭრო შეთანხმებების შესრულებას, ისევე როგორც საგარეო ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შემცირებას“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

IMEDINEWS

ენერგოდეფიციტი სერიოზული პრობლემაა!



ელექტროენერგიის დეფიციტი მუდმივად მზარდია და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას საფრთხეს უქმნის. ცალკე პრობლემაა ტარიფის მატების აუცილებლობა და ამით უკმაყოფილო მოსახლეობა, რომელიც ძალიან მწვავედ რეაგირებს ყოველგვარ გაძვირებაზე. არადა, იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულება სწრაფად იზრდება.

2019 წლის სექტემბერში ელექტროენერგიის იმპორტი საქართველოში დაახლოებით 33 პროცენტით გაიზარდა. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) ოპერატიული სტატისტიკით, სექტემბერში იმპორტის მოცულობა 185 მლნ კვტ/სთ იყო, მათ შორის რუსეთიდან 125 მლნ კვტ-სთ, ხოლო აზერბაიჯანიდან 60 მლნ კვტ/სთ. 2018 წლის სექტემბერში იმპორტმა 139.46 მლნ კვტ/სთ შეადგინა. 2019 წლის იანვარ-აგვისტოში ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობამ საქართველოში 835 მლნ კვტ/სთ-ს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 20 პროცენტით მეტი იყო.

სემეკის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი **დავით ნარმანია** - **თუ ქვეყანამ ჰესები არ განავითარა, უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ძვირი ელექტროენერგია ექნება**

აცხადებს, რომ ელექტროენერგიის ადგილობრივი გენერაციის შექმნა სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამიტომ ე.წ. გაჩერებული ჰესების მშენებლობა უნდა დაჩქარდეს. სხვა შემთხვევაში, უნდა შეეგუოთ, რომ ძვირი ელექტროენერგია გვექნება.

„ჩვენ გვჭირდება მეტი გენერაცია, ანუ მეტი ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოება. ნორმალურ პირობებში და ეს ევროპულ ქვეყნებშიც ასეა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკა იზრდება, დაახლოებით იმდენით იზრდება მოთხოვნა ელექტროენერგიაზეც. ჩვენთან ბოლო სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა 5 პროცენტის ფარგლებში გვქონდა, თუმცა ელექტროენერგიაზე მოთხოვნა 7-8 პროცენტის ფარგლებში იზრდებოდა, ანუ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა უფრო მაღალია, რაც სამი ფაქტორითაა განპირობებული: პირველი ეს არის ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობის ძალიან აქტიური პოლიტიკა, მეორე ფაქტორი არის კრიპტოინდუსტრია. ე.წ. მაინინგი ძალიან დიდ ენერგიას საჭიროებს და ჩვენი მოხმარების 10 პროცენტზე მეტი სწორედ მაინინგზე მოდის; მესამე ფაქტორია ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებზე გადასვლის ტემპი. ძალიან ბევრი ქვეყანა, მათ შორის ევროპის ქვეყნები, ენერგოდამზოგავ ტექნოლოგიებზე გადავიდნენ. ჩვენთანაც გადადიან, მაგრამ ტემპია დასაჩქარებელი“, — აღნიშნა ნარმანიამ.

მისი თქმით, თუ ქვეყანამ ჰესები არ განავითარა, უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ძვირი ელექტროენერგია ექნება.

„ჩვენს გარშემო რეგიონიდან იმპორტირებული ენერგია უფრო ძვირი გვიჯდება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როცა დიდი დეფიციტი წარმოიშვება. ამიტომ ყველანი უნდა შევთანხმდეთ, მათ შორის მოსახლეობასთან, რომ ისეთი ჰესების მშენებლობა მაინც გაგრძელდეს და დაიძრას, რომლებიც გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არ ახდენენ, თუ არის გარემოზე ძალიან მძიმე უარყოფითი ზეგავლენის მქონე, მხოლოდ ასეთ პროექტებზე შეიძლება უარი ვთქვათ, მაგრამ დღეს რამდენიმე ისეთი პროექტია გაჩერებული, რომლებზეც ძალიან ბევრი დადებითი დასკვნაა“.

დავით ნარმანიას მოსაზრებას სპეციალისტებიც იზიარებენ. ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ანზორ ჭითანავა** აცხადებს, რომ არსებული ენერგოდეფიციტი, უფრო მეტად ხდის ნათელს იმ შეცდომებს, რასაც ხელისუფლება ენერგეტიკაში უშვებს.

„როგორც წესი, აქ სულ არის ხოლმე სიძნელეები. წელს თბოსადგურების მხრივ დადებითი ტენდენცია იკვეთება, რადგან ახალი სიმძლავრეები შევიდა ძალაში. ეს არის სისტემის გამართულობა, მაგრამ თუ იგი უზრუნველყოფილი არ არის ენერგომატარებლით (წყლით, გაზით, ნახშირით), ის გამოუყენებელი რჩება. ზამთარში ჩვენ ყოველთვის გვიჭირს და დენს ვყიდულობთ მეზობელი ქვეყნებიდან, მაგრამ ბოლო პერიოდში უკვე ზაფხულშიც გვიჭირს.

ეს მაჩვენებელი გაზრდილი მოხმარების გამო გაცილებით მაღალი იქნება წელს, ვიდრე იყო შარშან. შესყიდვის პარამეტრები იქნება 2 მლრდ კვტ/სთ-ს ფარგლებში, თუ მეტი არა. ეს ძალიან მძიმედ დააწვება ელექტროსისტემას და გარკვეული კორექტირების შეტანა გახდება საჭირო“, — დასძინა ჭითანავამ.

ბექა დანელია

17 ოქტომბრიდან ლარი გამყარდება?!

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის განახლებული მაჩვენებელი გამოაქვეყნა, რამაც საგანგაშო სურათი აჩვენა. დოკუმენტის მიხედვით, 2019 წლის სექტემბერში საქართველოში ფასების საერთო დონე 6.4%-ით გაიზარდა. ასეთი ინფლაცია ქვეყანაში მხოლოდ 2017 წელს იყო. ეკონომისტები ვითარების გაუარესებას პროგნოზირებენ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ინფლაციას შეამცირებს.

ფასების ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების გაძვირებამ გამოიწვია. ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების მატება ასეთია:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასი გაიზარდა 11.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.49 პროცენტული პუნქტით აისახა. გაძვირებულია თევზეული (16.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (14.6 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (12.6 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (10.8 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (10.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (7.6 პროცენტი), ასევე ზეთი და ცხიმი (3.0 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასები გაზრდილია 14.6 პროცენტით, რაც 0.97 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ტრასპორტის მხრივ დაფიქსირდა ფასების 3.9-პროცენტიანი მატება,

ქვეყანა ინფლაციის ჭაობში ჩაეფლო, წლის ბოლომდე საგანგაშო სურათი იქნება!

რამაც 0.47 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე.

საკმაოდ გაძვირდა დასვენება, გართობა და კულტურა. აქ ფასები გაზრდილია 6.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წილმა წლიურ ინდექსში 0.39 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ჯანმრთელობის დაცვის სექტორში ფასის მატებამ 4.0 პროცენტი შეადგინა, რაც 0.32 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში.

ეროვნული ბანკი, რომლის კისერზეა ქვეყანაში არანორმალურად გაზრდილი ფასები, ახლა სხვაგვარ ნოტაზე გადაეწყო. თუ აქამდე ინფლაციას მხოლოდ აკვირდებოდა, ახლა ტყავში ძვრება, რომ კურსი და ფასები როგორმე ქვემოთ დასწიოს. სებ-ის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე** ამბობს, რომ პანიკის საფუძველი არ არის, ჩვენ თანმიმდევრულად ვიყენებთ ყველა ბერკეტს, რომელმაც ინფლაციაზე ზეწოლა უნდა შეამციროს.

„ზაფხულში რუსეთის მხრიდან ავიასანქციების დაწესებამ გააჩინა მოლოდინი, რომელიც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის დროს ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამას შემდეგ ტურისტული შემოსავლების ფაქტობრივი შემცირებაც მოჰყვა: ივლისში — 13 პროცენტით, აგვისტოში — 11 პროცენტით. აგვისტოს ბოლოს წლიურ მაჩვენებელს თუ ავიღებთ, (შემოსავლების) ზრდა ნული პროცენტია, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორების რაოდენობა იზრდებოდა. როდესაც ეს დავინახეთ, ძალიან ცხადად ვთქვით, რომ ეფექტური გაცვლითი კურსის ასეთმა გაუფასურებამ, რომელმაც ბუნებრივი ტრენდიდან გადაუხვია, შეიძლება, ინფლაციაზე გავლენა იქონიოს. ყოფილა პერიოდი, როდესაც კურსის გაუფასურებას ინფლაციისთვის პრობლემები არ შეუქმნია, მაგრამ ახლა, როგორც განვაცხადეთ, ამას ადგილი აქვს და ეს უკვე ქმნის პრობლემას“, — განაცხადა გვენეტაძემ.

თუმცა იგი მიიჩნევს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან ეროვნული ბანკი საკმარის ბერკეტებს ფლობს იმისთვის, რომ ინფლაცია მართოს, იგი ამ ბერკეტებს იყენებს და შესაბამისად, ინფლაცია აუცილებლად შემცირდება.

„ჩვენ ვიყენებთ ყველა იმ ბერკეტს, რომელიც ეროვნულ ბანკს აქვს. გამოვიყენეთ რეფინასირების განაკვეთი და ორჯერ გავზარდეთ 0.5 პროცენტით, ბოლო სხდომა რიგგარეშე იყო. ორჯერ გავყიდეთ სავალუტო რეზერვები და ორი დღის წინ 5 პროცენტით შევამცირეთ უცხოურ ვალუტაზე რეზერვების მოთხოვნა. ჩვენ თანმიმდევრულად ვიყენებთ ყველა იმ საშუალებას, რომელმაც უნდა შეამციროს ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან ინფლაციაზე ზეწოლის პირობები და ინფლაცია აუცილებლად შემცირდება“, — განმარტა გვენეტაძემ.

ლარის კურსი ყოველდღიურად უფასურდება და მას მიჰყვება ინფლაციაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რასაც სტატისტიკა აჩვენებს. პროფესორი **პაატა არუშიძე** ამბობს, რომ ჯერ კიდევ ადგილობრივი პროდუქტია ბაზარზე და როცა ისიც გამოილევა, გაცილებით უარესი შედეგი გვექნება.

„ჩვენ ვართ მომხმარებელი ქვეყანა და არა მწარმოებელი. უფრო საეჭვო იქნებოდა, რომ არ დაეფიქსირებინათ ეს შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტო-სექტემბერში ინფლაციის მაჩვენებელი გაზრდილია, ბაზარზე სიძვირე ძალიან მტკივნეულად ჯერ არ იგრძნობა, რადგან ადგილობრივი პროდუქცია კიდევ არის ბაზარზე. ფასები იზრდება ყოველდღიურად და საბოლოოდ დადგება კიდეც მონეტარული პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი, ეს არის გარდაუვალი.

რთული მდგომარეობაა რეგიონებშიც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა მიბმულია ტურიზმზე, შესაბამისად, ადგილობრივებისათვისაც ფასები 10-25%-ით მეტია, ვიდრე არასაკურორტო ზონებში“, — ამბობს არუშიძე.

ბოლო ინფორმაციით, ეროვნული ბანკი უცხოურ ვალუტაზე სარეზერვო მოთხოვნას 17 ოქტომბრიდან შეამცირებს და ლარის გამყარებაც უფრო თვალში საცემი გახდება.

დანიელ ბექაური

2019 წლის საპატიო თბილისელები

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲝᲑᲘᲡ“ გალაკონცერტზე 2019 წლის საპატიო თბილისელები დასახელდნენ. დედაქალაქის მერმა ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ თითოეულ მათგანს თბილისის სიმბოლური გასაღები, სიგელი და გულსაბნევი გადასცა.

გალაკონცერტზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით თბილისის მერთან ერთად, პრემიერ-მინისტრმა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ** მიმართა და შვიდ საპატიო თბილისელს ახალი სტატუსი მიულოცა.

წელს საპატიო თბილისელები გახდნენ: **ᲒᲘᲝᲖᲐᲚ ᲓᲣᲛᲝᲔᲕᲘ** – „თბილსერვის ჯგუფის“ 81 წლის მეეზოვე, რომელიც დედაქალაქის სისუფთავეზე უკვე 61 წელია, ზრუნავს; **ᲒᲘᲕᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – „თბილსერვის ჯგუფის“ გარე განათების ოსტატი, რომელიც 83 წლისაა და 66 წელია, ამ საქმით არის დაკავებული; **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ** – თბილისის მეტროს გვირაბ-ნაგებობათა დისტანციის უფროსი ოსტატი, რომელიც 77 წლისაა და 53 წელია, თბილისის მეტროში მუშაობს; **ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲗᲐᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – თბილისის სატრანსპორტო კომპანიის №1 ავტობაზის ავტობუსის მძღოლი. იგი 74 წლისაა და ავტობუსის მძღოლად მუშაობის 49-წლიანი სტაჟი აქვს; **ᲠᲝᲖᲔᲢᲐ ᲙᲣᲭᲐᲕᲐ** – ბიბლიოთეკათმცოდნე, რომელიც 79 წლისაა და 49 წელია, ამ სფეროში საქმიანობს; **ᲛᲔᲘᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – თბილისის №27 საბავშვო ბაგა-ბაღის მუსიკის პედაგოგი. ის 79 წლისაა, აქვს 60-წლიანი პროფესიული გამოცდილება, არის ოთხი მუსიკალური სპექტაკლისა და 200-ზე მეტი საბავშვო სიმღერის ავტორი; **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲚᲔᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ** – თბილისის ყოფილი მერი.

* * *

„ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ვამბობ, ამ ქალაქის მსახურებით არ დავიღლები. ჩვენი გუნდი სწორედ თქვენი მხარდაჭერით, ჩართულობითა და გვერდში დგომით აკეთებს ქალაქისთვის საჭირო და სასიკეთო საქმეებს. სწორედ თქვენ გვეხმარებით, რომ თბილისისა და თბილისელების წინაშე არსებული გამოწვევები ღირსეულად გადავჭრათ. თბილისი არის ყველა ადამიანი, ვისაც ეს ქალაქი უყვარს, მასზე ზრუნავს და არასდროს ავიწყდება. ეს ქალაქი არის პედაგოგი, ექიმი, მემანქანე, ბაღის პედაგოგი და ა.შ. სწორედ ამიტომ, წელს იმ ადამიანებს დავაჯილდოვებთ, ვინც ჩვენს ქალაქზე ყოველდღიურად, დღე და ღამე ზრუნავს. ეს ადამიანები თბილისისთვის ძალიან ბევრს აკეთებენ, რასაც ყველანი ვხედავთ. მინდა, მათ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო და „საპატიო თბილისელის“ წოდება მივანიჭო მათი ფასდაუდებელი წვლილისთვის ჩვენს ქალაქზე ზრუნვის საქმეში“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

„თბილისობის“ გალაკონცერტი კომპოზიტორ გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნა და მისი რამდენიმე მელოდია შესრულდა. დედაქალაქის მერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მომავალი წლის „თბილისობის“ დღეები მთლიანად კომპოზიტორის ხსოვნას მიეძღვნება.

10 პროგრამა რომელიც ბავშვთა დაცვის ახალ გარანტიებს ქმნის

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ თავმჯდომარემ **არჩილ თალაკვაძემ** და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **სოფიო კილაძემ** „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ რეგიონული საინფორმაციო კამპანია გახსნეს და კოდექსის ფარგლებში განსახორციელებელი 10 პროგრამის პრეზენტაცია გამართეს.

როგორც პრეზენტაციაზე სოფიო კილაძემ განაცხადა, კამპანიის ფარგლებში ჩავლენ ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც საზოგადოებას ჰკითხავენ, თუ რაში სურს, დაიხარჯოს ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხები და დონორული თანხები. კილაძემ წარმოადგინა 10 პროგრამა, რომელიც შემუშავდა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ფარგლებში.

ᲔᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲐ:

1. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, – მოიცავს ფინანსურ მხარდაჭერას კრიზისულ სიტუაციებში ოჯახებისთვის, მშობლებისთვის დასაქმებისა და გადამზადების შესაძლებლობების შეთავაზებას დასაქმების მიზნით; ბავშვების მხარდაჭერას გაცდენილი სასწავლო პროგრამების დაძლევის მიზნით შესაბამის სკოლასთან კოორდინაციის გზით; ბავშვის ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით პროგრამებში და ასევე ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსებს.

2. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს მშობლების კონსულტირებას ფეხმძიმობის პერიოდში და ბავშვის დაბადების პირველ წელს; ოჯახური თანაცხოვრების, ბავშვის ჯანმრთელობის და კვების საკითხებზე, ასევე ფსიქოლოგის მომსახურებას კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევების განსავითარებლად როგორც მეუღლეებს შორის, ასევე ბავშვებთან მიმართებით; მშობლების კონსულტირებას ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე აზარტულ თამაშებზე და ნარკოდამოკიდებულებაზე სარეაბილიტაციო კურსებს შემდგომი დასაქმების ხელშეწყობით.

3. ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს ძალადობის პრევენციის, მოძალადეთა ძალადობრივი დამოკიდებულების შეცვლის და ძალადობრივი ქცევის მიზეზების აღმოფხვრისაკენ მიმართულ სამედიცინო და ფსიქოსოციალური თერაპიისა და კონსულტაციის კურსებს.

4. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებულ პრევენციულ, საკონსულტაციო, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების და იმუნიზაციის ღონისძიებებს; სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტრუმენტებს; დანაშაულის შედეგად დაზარალებულ მსხვერპლ და მოწმე ბავშვთა ჯანდაცვის ღონისძიებებს.

5. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს ბავშვის განათლების მხარდამჭერ ფორმალურ და არაფორმალური განათლების კურსებს და სემინარებს. ამ პროგრამის მიზანია მშობლიური ენის და ქვეყნის ტრადიციულ-კულტურული ღირებულებების და ასევე განსხვავებული კულტურის და ცივილიზაციების პატივისცემის გრძნობის განვითარებას; ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობის და პატივისცემის განვითარებას; ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, კრიტიკული აზროვნებისა და შესაძლებლობების სრულფასოვან განვითარებას, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის, არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

6. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს სპორტული და გასართობი ხასიათის ღონისძიებების ხელშემწყობ მიმართულებებს; სასკოლო ან შრომით ვალდებულებებთან და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებულ ღონისძიებებს; საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებს, ბავშვთა დასვენების პროგრამებს, ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამებს, კულტურულ და სახელოვნებო პროგრამებს, წინაპროფესიული უნარების განმავითარებელ პროგრამებს.

7. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – მოიცავს ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგარო, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას. მისი მიზანია ბავშვის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; სოლიდარობის და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

8. ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ – მოიცავს თავშესაფარში ყოფნის პერიოდში კვებით უზრუნველყოფას; ბენეფიციარების ტანსაცმლით და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას; ბენეფიციარების პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას. მშობლებისა და ბავშვების ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას.

9. ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ – პროგრამით დღის ცენტრში ყოფნის პერიოდში მოიცავს ბავშვის კვებით უზრუნველყოფას; ბავშვის პირადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობას; აკადემიური საჭიროებების გამოვლენას და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვას; კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული, სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას.

10. ᲡᲠᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ – პროგრამის მიზანია ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით.

არჩილ თალაკვაძის განცხადებით, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ქმნის ბავშვის სიღარიბისგან დაცვის, კეთილდღეობის დაცვის, ძალადობისგან დაცვის თვისობრივად ახალ გარანტიებს.

უკურნებელი სენი დავამარცხე, იმედია, ნაციონალებსაც დავამარცხებ!

ვასილ მჟავანაძე გოგოხიების ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. პატარა გიორგის გვერდიდან არ იცილებდა. ეს სურათიც ენგურჰესის მშენებლობაზეა გადაღებული.

ათიათასობით საქართველოს მოქალაქე სამართლიანობის აღდგენას და წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისგებაში მიცემას ელოდება, რომლებიც თავსმოხვეული კოჰაბიტაციის წყალობით, დღესაც თბილ ადგილებზე სხედან და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულნი, ანტისახელმწიფოებრივ ბაკქანალიაში არიან ჩართულნი. ათასობით ნაწამები, დასახიჩრებული და უსამართლოდ ქონებაჩამორთმეულები დღესაც ელოდებიან, რომ ბოლოს და ბოლოს ხელისუფლება გადაწყვეტს იმას, რასაც ფაშისტური რეჟიმის წარმომადგენელთა დასჯა ჰქვია. იმედი მაშინ გამოჩნდა, როდესაც ახალმა პრემიერმა გიორგი გახარიამ ნაცსადისტებს პირში მიახალა – მე თქვენ დაგამთავრებთ!

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია წინა ხელისუფლების მიერ ნაწამები და უდანაშაულოდ ციხეგამოვლილი ადამიანი, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის მებრძოლი, ომის ვეტერანი, ყოფილი სპორტსმენი, ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანი და „ქართული ოცნების“ წევრი, ბატონი გიორგი ბოგოხია, რომლის ქონებაც, ჯანმრთელობაც და კარიერაც ავანტიურისტ მიხეილ სააკაშვილის ამბიციებს შეეწირა.

– ყველაფერი, რამაც ცხოვრება დამინგრია, 18 წლის წინათ დაიწყო, მაშინ 40 წელს ვიყავი მიტანებული, უკან მოვიტოვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის წლები, ბევრჯერ ვიყავი დაჭრილი და კონტუზირებული. ომის ვეტერანი, იმჟამად ძალოვან სტრუქტურებში საკმაოდ პრესტიჟულ თანამდებობაზე ვმუშაობდი. საშინელი კოშმარივით მახსოვს ის დღე, როდესაც მამაჩემმა დამიბარა და მითხრა, რომ ჩვენი ბინა სულ რაღაც ხუთი ათას დოლარად ჩადო იპოთეკური სესხის სანაცვლოდ...

– რაში დასჭირდა მამას თანხა?

– მოგახსენებთ. იმ დროს სააკაშვილი საკრებულოს არჩევნებისთვის ემზადებოდა, მამასაც სთხოვა დახმარება, როგორც ცნობილ პიროვნებას. მამაჩემმა, ენერგიული ახალგაზრდაა, გვერდში დავუდგებიო, და მის საარჩევნო საქმეებში ჩაერთო. მიშა, თავის მხრივ, იმ ძველი ქონების დაბრუნებას შეჰპირდა, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჩამოართვეს კომუნისტური რეჟიმის დროს. თანხაც ამისთვის იყო საჭირო, რათა საარქივო მასალები მოეწესრიგებინა და შესაბამისი ცნობები აეღო...

– რა ქონებაზეა საუბარი, ბატონო გიორგი?

– ჩემი დიდი ბაბუა ფილიპე გორგიძე ცნობილი მეცენატი და იმდროისთვის წარმატებული ბიზნესმენი გახლდათ, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან. მის ქალიშვილ ვერა გორგიძეზე, ანუ ბებიაჩემზე იქორწინა ახალგაზრდა ლიტერატორმა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა, შემდგომში „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთმა დამაარსებელმა რაჟდენ გოგოხიამ – ბაბუაჩემმა. ახალდაქორწინებულებს ფილიპე ბაბუამ მართლაც ზღაპრული საჩუქარი მოუმზადა, აჩუქა ქუთაისში უზარმაზარი სახლი, სამორინე, იმდროისთვის იშვიათი საჭიდაო დარბაზი და კინოთეატრი „რადიუმი“, თბილისში კი – გოლოვინის პროსპექტის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული შენობა, იმდროისთვის ერთ-ერთი თანამედროვე სასტუმრო, სადაც ამჟამად ჯანაშიას სახელობის მუზეუმია, ახალდაქორწინებულებს შეეძინათ ვაჟი, მამაჩემი გიორგი გოგოხია (მე და მამას ორივეს გიორგი გვქვია). სწორედ ამ ქონების ნაწილის დაბრუნება სურდა მამაჩემს, რაშიც ვითომ-ცდა ავანტიურისტი სააკაშვილი დაეხმარებოდა. ბაბუა რაჟდენ გოგოხია იალტაში, ქალაქ სიმეიზშია დაკრძალული. მის გადმოსასვენებლად კომუნისტების პერიოდში საგანგებო კომისიაც შეიქმნა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

– მამათქვენი, ბატონი გიორგი, დამსახურებული ჟურნალისტი, ქალაქის კოლორიტი, გამოცდილი კაცი, როგორ წამოეგო ამ ავანტიურისტის ანკესს?

– მიმნდობი კაცი იყო, თანაც იმ დროისთვის ბევრმა დაიბრუნა კომუნისტების დროს ჩამორთმეული ქონება, მამას იმედი ჰქონდა, რომ ახალგაზრდა, ენერგიული ადამიანი მოდის ქვეყნის სათავეში და დაეხმარებოდა. მართლაც გულწრფელად ეხმარებოდა მას საარჩევნო პროცესში. მამას აფასებდნენ და მასთან მეგობრობდნენ თავის დროზე საქართველოში მოღვაწე ცნობილი ადამიანები, პოლიტიკოსები, მწერლები, მსახიობები. მთელი ბავშვობა მათ წრეში და მათთან ურთიერთობაში მაქვს გატარებული – ვასილ მჟავანაძე, აკაკი ხორავა, რეზო ჩხეიძე, ნონა გაფრინდაშვილი, შალვა ნუცუბიძე, ოლეგ პოპოვი და სიმღერა „თბილისოს“ უბადლო შემსრულებელი იოვანა. ისინი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები გახლდნენ. ბაბუაჩემი რაჟდენ გოგოხია კი, ვისი აღზრდილიც ვარ, გალაკტიონის, ტიციანის, ესენინის, გოგლას ახლო მეგობარი იყო. მამას სახელს თავისი წონაც ჰქონდა და მიშაც იმიტომ დაუახლოვდა...

– თქვენ როგორ შეხვდით მამის გადაწყვეტილებას?

– მე კარგად ვიცოდი, ვინ იყო სააკაშვილი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, 200 კვადრატულზე მეტი ფართის მქონე ბინა ქალაქის ფეშენებელურ უბანში, ორი გარაჟით, ევრორემონტითა და ანტიკვარული ნივთებით სულ რაღაც 5000 დოლარად იყო იპოთეკაში ჩადებული. ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, არც ერთი იპოთეკარი არ გამოჩენილა და თანხა არ მოუთხოვია. მამამ მიშას მიაკითხა, პირობის შესრულება შეახსენა, იქიდან ასაკოვანი და დაფასებული კაცი შეურაცხყოფილი და დამცირებული გამოუშვეს – მიშა ყველას მამიდა ხომ არ გგონიათო. უცებ გატყდა და დაავადდა კაცი. ამ დროს სააკაშვილი შევარდნაძის ოპოზიციაში გადადის, მიტინგებს მიტინგებზე აწყობს. ერთხელაც მორიგი მიტინგი კახეთში დაგეგმა. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებული ვიყავი, მისთვის წინააღმდეგობა გამეწია, თან პირადი ანგარიშებიც მქონდა და მოხდა ისე, რომ ფიზიკურადაც გავუსწორდი.

გოგოხიების სამი თაობა: რაჟდენი, გიორგი და გიორგი-უმცროსი.

– რა თქმა უნდა, არ გაპატიებდათ, ის ხომ ყველას გაუსწორდა, ვისთანაც ბავშვობის დროინდელი მტრობა ჰქონდა...

– 2003 წელს, როცა მიშა პრეზიდენტად მოგვევლინა, სამსახურიდან გამათავისუფლეს, როგორც სჩვევიათ, პირადი განცხადების საფუძველზე. მამა ნერვიულობას გადაჰყვა და გარდაიცვალა. გამოჩნდნენ იპოთეკარებიც. 5000 დოლარი ათმაგად გაზარდეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში პროცენტები ემატებოდა, ისინი მიშას ემისრებთან ერთად გვავიწროვებდნენ. ისე მოხდა, რომ ეს უზარმაზარი სახლი, რაღაც 24 ათას დოლარად მიითვისეს, დანარჩენი თანხა კი გადასახდელი დარჩათ. დედასთან ერთად ბინას ვქირაობ და პატარა ოთახს ვაფარებთ თავს. ვალების გადახდას მთელი ჩვენი ქონება შეეწირა. როგორც იტყვიან, თითზე გადასახვევი ძაფიც კი არ შეგვარჩინეს, მხოლოდ სურათების ალბომიღა შემრჩა, სადაც უნიკალური ფოტოები ინახებოდა. ნერვიულობისგან დაავადებული დედისთვის წამლებსაც კი ვერ ვყიდულობდი, მეგობრები მეხმარებოდნენ. ამდენ გაჭირვებას ვერც დედამ გაუძლო და გარდაიცვალა. მაშინ მშობლების საფლავზე დავიფიცე, რომ ბოლომდე ვიბრძოლებდი და არაფერს შევარჩენდი ავანტიურისტ სააკაშვილსა და მის მსტოვრებს.

– ამის შემდეგ თქვენ ოპოზიციაშიც გადახვედით...

– 2006 წლიდან ფორუმის წევრი ვარ, არც ერთი მიტინგი და საპროტესტო აქცია არ გამიცდენია. არც ფაშისტური რეჟიმი იყო გულხელდაკრეფილი, ბევრჯერ დამიჭირეს, ნარკოტიკიც ჩამიდეს, აღრიცხვაზეც ამიყვანეს, ფიზიკურადაც გამისწორდნენ. მოდიოდნენ ყოველგვარ შანტაჟზე. 2007 წლის ნოემბრის აქციებზე დასისხლიანებული წამიყვანეს იზოლატორში, გათავისუფლებას მპირდებოდნენ, თუკი თანამებრძოლებზე ბინძურ კომპრომატებს წარვადგენდი. რა თქმა უნდა, ამაზე წამსვლელი არ ვიყავი. რამდენიმე დღეში ჩუღურეთის პოლიცია მიჭერს, ვითომდა ნარკოდამოკიდებულს, ერთი წლით პირობით სასჯელს მაკმარებენ, მაგრამ ვიღაც ღვთისნიერის წყალობით ადმინისტრაციული სასჯელით მიშვებენ. მეგობრები მეხმარებიან გირაოს გადახდაში. ყველა აქციის მონაწილე ვარ, 2011 წელს „ქართული ოცნების“ ჩუღურეთის რაიონის მობილური ჯგუფის უფროსად მირჩევენ. მთელი საქართველოს მასშტაბით ვატარებთ აქციებს. 2012 წელს გორში აქციის მოწყობისას, როგორც ორგანიზატორს, მიჭერენ, მაჟორიტარობის კანდიდატისთვის, რომლის მეგობარიცა და ჯგუფის წევრიც ვარ, ნარკოტიკის ჩადებას მაიძულებენ და სანაცვლოდ თავისუფლებას მპირდებიან. რა თქმა უნდა, უარს ვეუბნები, დღის განმავლობაში საცემად რამდენჯერმე გავყავდით, მოსულიერების შემდეგ კვლავ აგრძელებდნენ ფიზიკურ ანგარიშსწორებას. წამება ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. შემდეგ ნარკოტიკებთან ერთად მიღებენ ვიდეოკადრებს, ამონტაჟებენ და მეორე დღეს ტელევიზიებით აჩვენებენ – აი, „ოცნების“ სახე! მოკლედ, „რუსთავი-2“-ის ტელესახე გამხადეს. 7 წელი მომისაჯეს. ახლა უკვე ციხეში გაგრძელდა ჩემი წამება.

– არავინ შეგეხმიანათ?

– მოვახერხე წერილების გაგზავნა ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტში, ომბუდსმენთან. მართალია, ბავშვობიდან სპორტს მივდევდი და ჭიდაობაში მრავალი პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულიც გახლდით, მაგრამ ჯანმრთელობამ მაინც მიღალატა, ამდენმა წამებამ თავისი დაღი დამასვა და მეოთხე სტადიის სიმსივნე დამიდგინეს. 2013 წლის 21 თებერვალს პატიმრობიდან გამათავისუფლეს.

– ახალმა ხელისუფლებამ თუ დაგიფასათ ამდენი წამება?

– არავითარი პოლიტპატიმრის სტატუსი... სიაში შეყვანა დაგვავიწყდაო. მხოლოდ დაზარალებულად მცნეს ოფიციალურად... რაც შეეხება ჯანმრთელობას, წლებია, მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრში ვმკურნალობ. დამიდგინდა მარჯვენა ზედა ყბის ბრტყელუჯრედული კარციომა, დესტრუქციის IV A-სტადია, ქრონიკული C-ჰეპატიტი გამოწვეული ნერვიულობით, ფიზიკური ზემოქმედებითა და წამებით. კლინიკაში 2016 წლიდან ვმკურნალობდი. შარშან, ანალიზების აღების შემდეგ, საოცარი დასკვნა მივიღე – სიმსივნე დამარცხებულია, საჭიროა მკურნალობის გაგრძელება ტკივილების მოსახსნელად...

– ბატონო გიორგი, როგორც ჩანს, ღმერთმა ბოლომდე არ გაგწირათ...

– გული მწყდება და ჩემთვის ამაზრზენია, რომ ახალმა მთავრობამ კოჰაბიტაციის წყალობით ბოლო ვერ მოუღო ნაცმოძრაობის ჯალათების პარპაშს, სადაც მივედი, ყველგან ყოფილი ჯალათები და მიშას ნაცბანდის წევრები დამხვდნენ, მე ხომ ყველას ვიცნობ. ვერ მივაღწიე იმას, რომ ოფიციალურად გავიფორმო ჩემი მეუღლის მშობლების კუთვნილი ფართი, სულ რაღაც 32 კვ.მ. ვარკეთილში, სადაც ჩემს სიმამრს 1993 წლიდან რკინის საამქრო ჰქონდა და მიშას ტერორის დროს 2008-2010 წლებში სწორედ აქ ვაფარებდი თავს. ხუთი შვილისა და შვილიშვილების პატრონმა, ომის ვეტერანმა, მიშას ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლმა, ინვალიდმა იმას ვერ მივაღწიე, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი მომცენ, დღესაც ნაქირავებ ბინაში მიწევს ცხოვრება, ისევ მეგობრების დახმარებით ვიხდი მედიკამენტების ფულს, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ – სიმსივნე დავამარცხე და ნაცმოძრაობასაც უსათუოდ მოვერევი...

ესაუბრა

მამუკა ვაშაკიძე

◎ სჯობს სახელისა მოხვეჭა...

საქართველო - გულში!

გვაძვს პატივი, მკითხველს წარვუდგინოთ ემიგრანტი, ამერიკაში სახელმოხვეჭილი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე-ფერმწერი უშანგი ქუმელაშვილი, რომელიც სამშობლოში ორმოცდაათი წლის შემდეგ დაბრუნდა. მიმდინარე წლის შემოდგომის მზიან დღეს, თბილისის ძველ უბანში შევხვდით ამერიკიდან სამშობლოში შვებულებით ჩამოსულ ხელოვანს. მას მხარს უმშვენებდა არანაკლებ ცნობილი ხელოვანი, მუსიკოსი და მომღერალი ენრიკო ჯანელიძე. როგორც ბატონმა ენრიკომ ბრძანა: ნოსტალგიით შეპყრობილი მისი მეგობარი მხატვარი ერთი ფანქრით დაბრუნდა სამშობლოში, რათა მალე უკან, ამერიკაში, დაბრუნებულიყო. თუმცა ისეთი ძლიერი გამოდგა მონატრება, ის კვლავ საქართველოშია და მამისეულ მამულში ეფერება ქართულ მიწას და თან ქვაში აცოცხლებს საოცარ ქანდაკებებს.

უშანგი ქუმელაშვილი - ქართველი ემიგრანტი ამერიკიდან

თბილისში, ავლაბარში 1951 წელს დაბადებულმა მხატვარმა ცხოვრების რთული გზა განვლო. მან ბავშვობა ხან თბილისში, ხანაც გორში, მამისეულ სახლში გაატარა. პარალელურად, ცხრა წლის ასაკიდან ეუფლებოდა მხატვრობის საიდუმლოს. ოჯახური პრობლემით დახუნძლული ახალგაზრდა მხატვარი მოსკოვს მიემგზავრება და ვნუკოვოს კულტურის სასახლეში მოღვაწეობს. მოსკოვიდან კალუგაში გადადის და ოჯახს ქმნის კალუგის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელ ქალბატონთან ერთად. მხატვარმა აქვე შექმნა ციოლკოვსკის მონუმენტი, რომელიც დღესაც დგას და ამშვენებს გარემოს.

უშანგი ქუმელაშვილის შემოქმედებითი თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ თანამიმდევრული, ძველი სამყაროს სიბრძნის მქადაგებელი წმინდანებიდან დაწყებული, ცათა სასუფევლის ძიებით დამთავრებული. შთამბეჭდავია მარადიულად ჩახუტებული მისტიკური შეყვარებულები, პეიზაჟები — ოცნების სამყაროდან და მის ფარგლებს გარეთ. იგი იყენებს ჰიბრიდულ სტილს, რომლის ფესვებიც კლასიციზმში, იმპრესიონიზმში, სიურეალიზმსა და აბსტრაქციაში უნდა ვეძებოთ. იგი დაჯილდოებულია იშვიათი უნარით — თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება გადმოეტანა ქანდაკებასა და მხატვრობაში. მისი შემოქმედება მარადიულია და ნამუშევრებს უპრეცედენტო ვიზუალიზაციის უნარითა და ენერგიით ქმნის. უშანგი ქუმელაშვილის ნამუშევრები მუდმივად გამოიფინება და იყიდება როგორც ამერიკის ძირითად ქალაქებში, ასევე დასავლეთ ევროპასა და ჩინეთში. ხოლო მის მიერ შესრულებული მარკ ტვენის ნატურალურ ზომაზე ორჯერ უფრო დიდი მოცულობის ბიუსტი წარმოდგენილია მარკ ტვენის მუდმივმოქმედ გამოფენაზე კალიფორნიის „ვინჯელს ქემპ“ მუზეუმში. როგორც თავად მხატვარი ბრძანებს: მარკ ტვენი ამერიკის მწერლობის მამაა. როცა მისი ნაწარმოებები წავიკითხე, მათში დავინახე გულწრფელი კოსმოპოლიტიზმი. მარკ ტვენის ქანდაკება საკონკურსო ნამუშევარია. ჩემს თავს ვუთხარი: „დავხუჭავ თვალებს და ისე გავაკეთებ, როგორც გული მიკარნახებს-მეთქი“. ბატონი უშანგი ქუმელაშვილი გახლავთ სამი სხვადასხვა კომისიის: ზეთში მომუშავე ამერიკელი მხატვრების, მოქანდაკეთა ეროვნული საზოგადოებისა და მოქანდაკეთა საერთაშორისო ცენტრის ჟიურის წევრი. ჰოლივუდის სახელოსნოში მოღვაწე მხატვარს არ აკლია ყურადღება.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ სწორედ გამოჩენილი პიროვნების, საზოგადო მოღვაწისა და მუსიკოს-შემსრულებლის, ბატონ ენრიკო ჯანელიძის დამსახურებაა, ამერიკაში ესოდენ პატივცემული შემოქმედი ჩაერთო ქართველ მხატვართა კულტურულ ცხოვრებაში. მან ბატონი უშანგი ცნობილ მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეს რეზო ადამიას წარუდგინა. აგრეთვე გააცნო კულტურის მინისტრის მოადგილე, ბატონი გიორგი გეგეჭკორი, ვისაც მხატვარი სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. შედგა ნაცნობობა ცნობილ არქიტექტორებთან გიგა ბათიაშვილთან და ვახტანგ დავითაიასთან. შემდეგ მხატვარმა გაიცნო მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე და ჩაერთო კიდეც გამოფენებში. მოქანდაკე-ფერმწერმა უშანგი ქუმელაშვილმა მონაწილეობა მიიღო ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გამართულ ქართველ მხატვართა საშობაო გამოფენაში. თავად ბატონი უშანგი დიდი სიყვარულითა და მადლიერებით აღნიშნავს ბავშვობის მეგობრის, მოქანდაკე მიხეილ წოწორიას თანადგომას, რომელმაც თავისი სახელოსნო შესთავაზა შემოქმედს.

მიმდინარე წლის 14 იანვარს საპატრიარქოს რადიომ გადაცემაში „შეხვედრა მხატვართან“ ჩაწერა ინტერვიუ ემიგრანტ მხატვარ უშანგი ქუმელაშვილთან. გადაცემას უძღვებოდა მხატვარი და ჟურნალისტი **დარეჯან ჭილაშვილი**. ინტერვიუში ბატონმა უშანგიმ ბრძანა: **ადამიანი მაშინ ტოვებს სამშობლოს, როცა ფიქრობს, რომ უფსკრულის პირასაა... იქვე: ბედნიერია დედამიწაზე დაბადებული ყველა ადამიანი, მაგრამ ზეციურად ბედნიერია ის ადამიანი, ვინც საქართველოში დაიბადა“.**

ბატონ რეზო ადამიასი არ იყოს, ალბათ, სწორედ ის ღვთიური სენია ნოსტალგია, რომელიც საქართველოს გადაარჩენს.

ნინო კოპაძიძე,
ჟურნალ „მირაჟის“ მთავარი რედაქტორი

გილოცავთ! ყოველი დღე შენია!



ყოველი საიუბილეო თარიღი განვლილი ცხოვრების გადახედვისა და გაანალიზების დღეა.

რით ხვდება 55 წლის იუბილეს „ფრიადოსანი ბიჭი“, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა და მწერალთა შემოქმედებითი კავშირების ღირსეული წევრი, სხვადასხვა პრემიების (მათ შორის „ოქროს ფრთის“) ლაურეატი, სამი წიგნის ავტორი, პუბლიცისტი და პროზაიკოსი, ცნობილი ანალიტიკოსი გია გაბრიჭიძე?

მართალი სიტყვის მსახური გია გაბრიჭიძე ის კაცია, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია, ყოველი დღე, თვე და წელი, რაც კი უცხოვრია და უმოღვაწია, მისი სულიერი და ზნეობრივი არსობის ნაწილია. ია-ვარდით მოფენილი გზისთვისაც ადვილად უგანია და არაკაცებთან პირისპირ მდგარს, უკან არასდროს დაუხევია.

ცხოვრების ამ შუაგულში — მზე შუბის ტარზე გიდგას, იმედიანი და ძველებურად ხალისიანი ხარ... ენერგიული, მიზანსწრაფული, იუმორით სავსე და ყველასთვის საყვარელი. ხარობ უკვე მოსწრებული ქალიშვილისა და ტყუპი ვაჟკაცების სიყვარულით, ბედნიერი ოჯახით, დიდი სამეგობროთი, რომლებისგანაც ყოველდღიურად გრძნობ სიყვარულსა და გვერდში დგომას.

იხარე და იმზეგრძელე, ჩვენო „დაუნდობელო“ პუბლიცისტო, გვეამაყები, გვიყვარხარ და ყველა შენი წარმატება ჩვენთვის სიხარულის მომგვრელია.

ოჯახისთვის, სამშობლოსა და სამეგობროსთვის თავდადებულო „ფრიადოსანო“, მუდამ მხნედ და ენერგიულად შეუტიე შენი სამშობლოსა და სამეგობროს მტრებს.

არ დაგავიწყდეს, რომ შენი ჟურნალისტური გზის დამლოცველი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 101 წლისაა და არასდროს „ანაცვალო“ ელექტრონულ მედიას, რადგან გაზეთში დაბეჭდილ შენს პუბლიცისტურ წერილებს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე თავგზააბნეულ სოციალურ ქსელებს...

101 წელიწადი იცოცხლე და ხმალი (კალამი) არ დააბლაგვო!

სიყვარულითა და პატივისცემით
მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

საქართველო ევროპის უმსხვილეს საინვესტიციო გამოფენაზეა

9 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ მიუნხენში ევროპის უმსხვილესი საინვესტიციო გამოფენა უძრავი ქონების მიმართულებით „EXPO REAL“ გაიმართება. მასში მონაწილეობს საქართველოს დელეგაცია, რომელშიც შედიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ალავიძის განცხადებით, მიუნხენის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობა იძლევა კარგ შესაძლებლობას, რათა ადგილობრივ უძრავი ქონების ბაზარზე მსხვილი ინვესტორები მოვიზიდოთ. მისი თქმით, დაინტერესებული საერთაშორისო კომპანიები შეძლებენ დეტალური ინფორმაციის მიღებას საქართველოში არსებული ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.

„გამოფენაზე წარდგენილია კონკრეტული საინვესტიციო პროექტები თბილისსა და რეგიონებში, რომლებიც მათი მასშტაბურობიდან გამომდინარე, შეიძლება მიმზიდველი იყოს უცხოელი ინვესტორებისთვის. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი უძრავი ქონების ბაზრით საერთაშორისო კაპიტალი დაინტერესდეს, მსგავს გამოფენებში მონაწილეობა ასეთ შესაძლებლობებს ზრდის. მით უფრო, რომ საქართველოს დელეგაციას აქვს შეხვედრები უძრავი ქონების საერთაშორისო კომპანიებთან, სადაც ისინი გაეცნობიან იმ სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებს, რასაც საქართველოს მთავრობა სთავაზობს პოტენციურ ინვესტორებს უძრავი ქონების და სტუმარ-მასპინძლობის სექტორის მიმართულებით,“ — განაცხადა ნიკოლოზ ალავიძემ. მიუნხენის საერთაშორისო გამოფენა მოიცავს გლობალური უძრავი ქონების ინდუსტრიის სრულ ჯაჭვს და აერთიანებს 45 000-ზე მეტ მონაწილეს 70-ზე მეტი ქვეყნიდან.

დეკემბერში გიორგი გახარიას კრემლში ელოდებიან(?)

ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, დეკემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მოსკოვში ვიზიტი იგეგმება. **„2020NEWS“-თვის ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, რომ ბიძინა ივანიშვილის შერჩეულ საქართველოს ახალ პრემიერს კრემლში უკვე ელოდებიან.**

„2020NEWS“-ის წყაროს ინფორმაციით, რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების გახმაურებული შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ პირველი პირების შეხვედრის მომზადება იყო. დავით ზალკალიანის უწყება აღნიშნულ ინფორმაციას ჯერჯერობით უარყოფს.

„უახლოეს მომავალში საქართველო-რუსეთის პირველი პირების შეხვედრა დაგეგმილი არ არის. თუ უახლოეს მომავალში თანამდებობის პირთა აუდიენცია დაიგეგმება, საზოგადოებას აღნიშნული ინფორმაციის შესახებ ეცნობება“, — უთხრეს „2020NEWS“-ს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მათივე მტკიცებით, საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც ნიუ იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის მიმდინარეობის დროს შედგა, ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას უარყოფს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი.

„ეს არის საიდანაც მოტანილი ინფორმაცია, არ გამიგონია ამის თაობაზე, ამდაგვარი არაფერი არ ხდება და არ იგეგმება“, — განუცხადა ვოლსკიმ „2020NEWS“-ს.

მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არა აქვს არც ოპოზიციას. „ევროპული საქართველოს“ ლიდერი დავით ბაქრაძე „2020NEWS“-თან ამბობს, რომ რუსეთთან დიალოგის წინააღმდეგი არ არის, თუმცა ეს სწორ ფორმატში უნდა მოხდეს და ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს როგორც საერთაშორისო, ისე ქართული საზოგადოება. წინასწარ უნდა იყოს ცნობილი დღის წესრიგი.

„სწორ კონტექსტში და სწორ ფორმატში რუსეთთან დიალოგი პრობლემა არ არის, რადგან შენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად უნდა ელაპარაკო ოკუპანტსაც და მოწინააღმდეგესაც, მაგრამ ხაზს ვუსვამ სიტყვებს“ — სწორ კონტექსტში და სწორ ფორმატში.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ დაგვანახა, რომ ეს პირობა არ იყო დაცული. პირველ რიგში, როდესაც შეხვედრა იმართება საზოგადოებისათვის ასეთ მნიშვნელოვან და მტკივნეულ თემაზე, დაუშვებელია, ამას საზოგადოება იგებდეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან. შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ სრულიად არეული კომენტარი ქართული მხარის და პირდაპირი, ღია დაცინვა ლავროვის მხრიდან, რომელმაც დასცინა ზალკალიანსაც და მთელ საქართველოსაც.

ჩვენ დღემდე არ ვიცით კონკრეტულად, რა მიზანს და ამოცანას ემსახურება ზალკალიანის და ლავროვის შეხვედრა და რა იყო ამ შეხვედრის შედეგი. ამიტომ, ასეთ პირობებში, დამატებით პრემიერების შეხვედრის მომზადება ისევ საზოგადოებისგან ფარულად, ისევ ისე, რომ ჩვენ არ ვიცით დღის წესრიგი, რა თქმა უნდა, არის პრობლემური თემა.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საკითხი, რომ ჩვენთვის ყველაზე ეფექტური გზა რუსეთზე ზეწოლის და ოკუპაციის დასრულების, არის საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით საერთაშორისო პოლიტიკური ზეწოლა. ამის ფორმატი არის ჟენევის ფორმატი. დიდი ხანია, რუსეთი ცდილობს, ჟენევის გვერდის ავლით გამოვიდეს ორმხრივ დიალოგზე და თქვას, რომ ჩვენ და ქართველები ერთმანეთთან ვლაპარაკობთ პირისპირ და თქვენ დანარჩენები — ამერიკელები, ევროპელები, გაიწიეთ გვერდზე და გვაცალეთ ლაპარაკი.

იმის დიდი საფრთხე არსებობს, რომ ჩვენი პარტნიორები გაწიონ გვერდზე და დავრჩეთ ერთი ერთზე რუსეთთან. ეს იქნება კატასტროფა, რადგან ერთი-ერთზე რუსეთთან ჩვენ ოკუპაციის თემას ვერ მოვაგვარებთ. პრემიერების შეხვედრის შემთხვევაში, განსაკუთრებით ბევრად მეტად, ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრების, უნდა გავითვალისწინოთ ეს საფრთხე, რომ რუსეთმა არ გამოიყენოს ეს შეხვედრა და მთელი ეს პროცესი იმისთვის, რომ ჩვენი პარტნიორები არ გაწიოს გვერდზე მოლაპარაკებიდან.

პირველი პირების შეხვედრაში ბუნებრივია, რისკებს ვხედავ და ამ რისკების მოხსნის ერთადერთი გზა არის საზოგადოების ღია, წინასწარი და ბოლომდე ინფორმირება, თუ რა შეხვედრა შეიძლება შედგეს, რა არის ქართული მხარის დღის წესრიგი და რა საკითხებს დააყენებს, შეთანხმებულია თუ არა ეს ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ამის გაკეთების გარეშე რუსულ მხარესთან ჩუმად, ზურგს უკან შეხვედრა მიმაჩნია, რომ შეიძლება იყოს სახიფათო და მთელი პროცესისთვის საზიანო“, — აცხადებს ბაქრაძე.

შეგახსენებთ, 26 სექტემბერს ნიუ იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდა. შეხვედრის შესახებ, რომელიც ქართულმა მხარემ დამალა, ინფორმაცია რუსულმა მხარემ გაავრცელა ირონიული კომენტარებით. ლავროვი-ზალკალიანის შეხვედრის შინაარსი, დეტალები და შედეგი, ამ დრომდე უცნობია.

ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი პრემიერს შეხვდა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (**EUMM**) ხელმძღვანელ ერიკ ჰოგის შეხვედრის მთავარი თემა.

საუბრისას აღინიშნა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მათ შორის სოფელ ჩორჩანას და გუგუტიანთკარის მიმართულებით, ასევე ე.წ საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ადგილობრივი მცხოვრებლების დაკავება, მნიშვნელოვნად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს და უხეშად არღვევს ადამიანთა უფლებებს.

პრემიერმა ხაზი გაუსვა დასავლელი პარტნიორების დღის წესრიგში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების მაღალ დონეზე შენარჩუნების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებაში **EUMM**-ის საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გიორგი გახარიამ ასევე ყურადღება გაამახვილა **EUMM**-ის, როგორც ადგილზე მოქმედი ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის როლზე დაძაბულობის შემცირებასა და ადგილზე მშვიდობის შენარჩუნებაში. პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის მონიტორინგის მისიას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.



ირაკლი ღარიბაშვილმა „ინტერმარიუმ კიბერუსაფრთხოების ფორუმი 2019“ გახსნა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „ინტერმარიუმ კიბერუსაფრთხოების ფორუმი 2019“ გახსნა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობაზე და კიბერთავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პროცესში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე ისაუბრა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, კიბერუსაფრთხოება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და ეროვნული დონის პრიორიტეტია.

საერთაშორისო კონფერენციაზე ნატოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები კიბერუსაფრთხოების განმტკიცების საკითხებზე, კიბერსაფრთხეებთანდაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და კიბერინციდენტებზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდის გზებზე მსჯელობენ.

„ინტერმარიუმ კიბერუსაფრთხოების ფორუმი 2019“ სსიპ საქართველოს კიბერუსაფრთხოების ბიუროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში იმართება.

სირიაში ანტიტერორისტული ოპერაცია იწყება... აშშ-ის გარეშე

სირიაში თურქეთის სამხედრო ოპერაციაში აშშ მონაწილეობას არ მიიღებს, შესაბამისად რეგიონში ბოლო 2 წლის განმავლობაში დაკავებული „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების ბედზე პასუხისმგებლობას თურქეთი აიღებს. ამის შესახებ ნათქვამია დონალდ ტრამპისა და რეჯეფ თაიპ ერდოღანის სატელეფონო საუბრის შემდეგ თეთრი სახლის მიერ გავრცელებული განცხადებაში, იუწყება BBC.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროპის ქვეყნებმა უარი თქვეს „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი საკუთარი მოქალაქეების ექსტრადირებაზე.

„აშშ მოითხოვდა გერმანიისგან, საფრანგეთისგან და სხვა ევროპული ქვეყნებისგან, რომ მათ ტერორისტები წაეყვანათ, თუმცა უარი მიიღო. აშშ არ აპირებს, არჩინოს „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები გაურკვეველი დროის განმავლობაში, რაც ამერიკელ გადასახადეების გადამხდელებს დიდ ტვირთად დააწვებოდა. დღეიდან ამ ტერორისტებზე პასუხისმგებლობას თურქეთი აიღებს“, — ნათქვამია განცხადებაში. 6 ოქტომბერს თურქეთმა სირიის საზღვართან დამატებითი ძალები და სამხედრო ტექნიკა გაგზავნა, მანამდე თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, უახლოეს დღეებში სირიაში ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყოს.

ხორბალი - საქართველოს სტრატეგიული კულტურა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2019 წლის 2-4 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ხორბალი ევროპის ქვეყნებში და საქართველო, როგორც ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი კერა“.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის მეცნიერები იტალიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან აკადემიების კავშირის პრეზიდენტის, პროფ. მიშელე სტანსას (იტალი) ხელმძღვანელობით.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს ტექნიკური, სამედიცინო, აგრარული, ბათუმის შოთა რუსთაველის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები, კერძო ასოციაციები, ფირმები, საზოგადოებრივი კავშირები, თბილისის პურის ქარხნები, კომპანიები და ა. შ.

კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებულ მოხსენებებში მკაფიოდ აღინიშნა, რომ ხორბალი საქართველოში ენდემური და განსაკუთრებული, სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რასაც განაპირობებს მისი მდიდარი ისტორია, დიდი აგრონომიული და ეკონომიკური მნიშვნელობა.

სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლოა წინა აზია, ხოლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 საქართველოს ენდემია.

სულ საქართველოში აღწერილია ხორბლის 14 სახეობა, 150-ზე მეტი სახესხვაობა, ფორმა და აბორიგენული ჯიში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება 8 000 წლის წინანდელი ქართული ხორბლის უნიკალური ჯიშები.

ქართველი მეცნიერების მოხსენებებში აღინიშნა, რომ ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო სისტემაში გამოკვეთილი პოზიცია უკავია მემარცვლეობას, კერძოდ, ხორბლის წარმოებას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული, საშუალებას არ იძლევა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის სასურსათო და საფურაჟე ხორბალი, ვაწარმოოთ იმ მოცულობით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე, მითუმეტეს, ტურისტებისა და საკურორტო და სამკურნალო კერებში მყოფ დამსვენებელთა მოთხოვნილება.

პერსპექტივაში კი, თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, საკუთარი წარმოებით შეძლებს დაიკმაყოფილოს ხორბალზე სასურსათო მოთხოვნილება, მაგრამ, ეს, ჯერჯერობით თეორიულ და მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება.

კონფერენციამ აღიარა, რომ საქართველომ ხორბლის კულტურის სახით მსოფლიოს უნიკალური მრავალფეროვნება შეუქმნა, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას თანამედროვე ინტენსიური ტიპის ხორბლის ჯიშები. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, სამეცნიერო ფორუმების სისტემატური ჩატარება საშუალებას მოგვცემს, განისაზღვროს ქვეყნების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები.

კონფერენციის ფარგლებში აკადემიაში მოეწყო საქართველოში კულტივირებული ხორბლის ჯიშებისა და ქ. თბილისის პურის მწარმოებელთა პროდუქციის გამოფენა, რამაც კონფერენციის სტუმრებისა და მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოფენის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ფირმა „ლომთაგორა“, ა(ა)იპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, პურის მრეწველთა კავშირი და კომპანიები „მზეთამზე“, „მარგი“, „იფქლი დიღომი“, „იფქლი გლდანი“, „ქართული პურის სახლი“, „კევრი“, მეყველეთა ასოციაცია, თელავის ჩურჩხელების საწარმო და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესცენტრი

აზერბაიჯანმა „კეშიკჩი გალას“ (დავით გარეჯი) ტერიტორიაზე სასაზღვრო პოსტი გახსნა!

„აზერბაიჯანი-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ყოველთვის იყო მეგობრობის ნიმუში“

„სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის, შამქირის სასაზღვრო ჯარების „კეშიკჩი გალა“ (დავით გარეჯის მონაკვეთი) სასაზღვრო დაცვის კომპლექსი ექსპლუატაციაში შევიდა. ამ მიზნით ორგანიზებულ საზეიმო ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას, სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ელჩინ გულიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა საზღვრის დაცვის ეროვნული სტრატეგია“,- აღნიშნულია აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციაში.

ამასთან, მათივე ინფორმაციით, პოსტის გახსნაზე აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა ელჩინ გულიევმა აღნიშნა რომ, სასაზღვრო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება, ყველა სამხედრო განყოფილებაში პერსონალისთვის აუცილებელი მომსახურებისა და საცხოვრებელი პირობების შექმნა, ექსპლუატაციაში შესული ახალი სასაზღვრო დაცვის კომპლექსი ალიევის ამ სფეროს განვითარებისადმი განსაკუთრებული ყურადღების კიდევ ერთი გამოვლინებაა.

სასაზღვრო სამსახურის ცნობით, სასაზღვრო კომპლექსის გახსნის ცერემონიაზე აღინიშნა, რომ პოსტის გახსნა საზღვრის დაცვასთან ერთად, აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვასაც ისახავს მიზნად.

„აზერბაიჯანი-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ყოველთვის იყო მეგობრობის და სტრატეგიული პარტნიორობის ნიმუში და ქართველ მესაზღვრეებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მაღალი დონე ხაზგასმით აღინიშნა. აღინიშნა რომ, ზღვის დონიდან 850 მეტრის სიმაღლეზე და დიდ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო კომპლექსი „კეშიკჩი გალა“ ამავე დროს უძველესი ალბანელების მემკვიდრეობად მიჩნეულ ისტორიულ და კულტურულ ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ მომსახურე მესაზღვრეები სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან ერთად, იცავენ ჩვენი ხალხის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობას“, — აცხადებენ აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურში.

კორეელმა ჟურნალისტებმა საქართველოს შესახებ რეპორტაჟები მოამზადეს

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით კორეულმა წამყვანმა სა-

მაუწყებლო კომპანიამ KBS (Korea Broadcasting System) საქართველოს შესახებ სპეციალური გადაცემა და ვიდეო რგოლები მოამზადა.

კორეელმა ჟურნალისტებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იმოგზაურეს და გადაიღეს მასალები გადაცემებისთვის „Everywhere K“ და „Food Odyssey“.

50-წუთიან ფილმში და 10 ვიდეორგოლში აქცენტი გაკეთდა როგორც ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე, ისე ქართულ სამზარეულოსა და ღვინოზე. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით და კორეაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით კორეელმა ჟურნალისტებმა საქართველოში ორი კვირის განმავლობაში იმოგზაურეს, გადაღებები მიმდინარეობდა თითქმის ყველა რეგიონსა და დედაქალაქში. წამყვანი კორეული ტელეარხის გარდა, საქართველოს შესახებ მომზადებული ვიდეორგოლები გავრცელდა როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი სოციალური ქსელების საშუალებით.

„ერი და სახელმწიფო“ მოითხოვს, მღვდელმსახურებს სამხედრო სამსახური არ გადაუვადდეთ!

ზვიად ტომარაძე ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ სახელით პარლამენტს სამხედრო სამსახურის შესახებ ახალ კანონპროექტს სთავაზობს.

ახალი ვერსიით კანონში ცვლილება სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ჩამონათვალიდან სიტყვა „მღვდელმსახურის“ ამოღებას გულისხმობს. შესაბამისად მათ ამ სტატუსის გამო სამხედრო სამსახურში გაწვევა აღარ გადაუვადდებათ. ტომარაძის თქმით, 2017 წლიდან აღნიშნულ საკითხი პრობლემად იქცა, რადგან კანონში არსებული ჩანაწერი მღვდელმსახურების შესახებ რელიგიურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის „გირჩმა“ არაკეთილსინდისიერად გამოიყენეს. კანონპროექტი უკვე პარლამენტშია და თანხმობის შემთხვევაში წამყვანი კომიტეტი სავარაუდოდ თავდაცვის კომიტეტი იქნება, განხილვა კი ოქტომბრის თვის ბოლოს დაიწყება.

„გირჩმა“ რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“ 2017 წლის 21 აპრილს დააფუძნა. ორგანიზაცია ახალგაზრდებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებაში ეხმარება.

◎ ნაბიჯი მომავლისკენ

ბათუმელებს „ლამინი ჯგუფი“ შეეხიდა

ბათუმში იქაური და თბილისის „დინამოს“ მატჩის დაწყებამდე აჭარის მთავრობამ და ბათუმის მერიამ კლუბი საზეიმო ვითარებაში ოფიციალურ მართვაში შპს „ლამინი ჯგუფს“ გადასცეს.

ცერემონიას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ბათუმის მერი ლაშა კომახიძე და „ლამინი ჯგუფის“ მფლობელი არჩილ ბერიძე.

მანამდე სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებს სიტყვით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა მიმართა.

ლევან კობიაშვილი: „სრულიად საქართველო ამაყობს თქვენით. თქვენ შექმენით სულ სხვა რეალობა ქართულ ფეხბურთში და ამისთვის მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ. რაც აქ, ბათუმში ხდება ბოლო წლებში, ბოლო თვეებში – ეს ატმოსფერო, დამერწმუნეთ, სხვა ქალაქებისთვისაც გადამდებია. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის მთავრობას, ბათუმის მერიას, კლუბს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა. ყველა კლუბი უნდა იყოს კერძო – ეს არის სწორედ ის, რისთვისაც ვიბრძვით და ვშრომობთ.“

არჩილ ბერიძე: „უპირველესად, მადლობა აჭარის მთავრობასა და ფეხბურთის ფედერაციას. მადლობა ქომაგებს. ეს გუნდი კერძო არასდროს არ იქნება.იგი თქვენი, მისი გულშემატკივრების იქნება.“

ლაშა კომახიძე: „სამი საათით ადრე ტრიბუნები სავსეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბათუმის „დინამო“ ჩვენი ქალაქის განუყოფელი ნაწილია. ამ სავსე ტრიბუნებისთვის მადლობას გიხდით. დღეს ბათუმის „დინამოს“ ისტორიაში ახალი ფურცელი იწერება. გუნდმა ამ მემორანდუმით ახალი მიზნებისკენ და მწვერვალებისკენ უნდა დაიწყოს სვლა.“

თვით მატჩი ფრედ – 1:1 დასრულდა და ორივე „დინამომ“ 62–62 ქულით ეროვნული ლიგის ლიდერობა შეინარჩუნა.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

გიორგი შერმადინი - MVP!

ესპანეთის ლიგა ენდესას მესამე ტურში გიორგი შერმადინის „იბეროსტარ ტენერიფემ“ მადრიდის „რეალს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში მარცხი იწვნია – 71:76.

კუნძულელებმა პირველი მეოთხედი ჩააგდეს (11:18), მაგრამ შემდეგი ორი პერიოდი დიდებულად ჩაატარეს და დასკვნითი ათწუთეულის წინ ორქულიანი უპირატესობით იგებდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლოსკენ გამოცდილებამ და კლასმა თავისი გაიტანა და „სამეფო კლუბმა“ იმარჯვა.

თუმცა, გიო ბრწყინვალედ გაისარჯა და მატჩის MVP გახდა. ქართველმა ცენტრმა პარკეტზე 29 წუთი გაატარა და ხსენებულ დროში 20 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 2 დაფარება მიითვალა.

შერმადინმა 12-დან 9 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, სამჯერ კი ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა. შედეგად, ჩვენებურის მარგი ქმედების კოეფიციენტი 26-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო და MVP დამსახურებულად გახდა.

აღსანიშნავია, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტით გიორგისთან ყველაზე ახლო მაჩვენებელი სერხიო ლულს ჰქონდა - 17. ჩვენებური საუკეთესო იყო ქულების რაოდენობითაც (20) და აქაც ლულს აჯობა (19). ცნობისთვის:შერმადინი თანაგუნდელთა შორის ერთადერთი იყო, რომელმაც დაგროვილი ქულებით ორნიშნა ნიშნულს უწია.

„ტენერიფეს“ კი სამი ტურის თავზე 1 მოგების წილ 2 წაგება აქვს და მე-13 ადგილზეა, ხოლო მომდევნო ტურში 12 ოქტომბერს „მონბუსს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

დოპინგთან ბრძოლის ახალი მეთოდი

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) **საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (IOC) და ტესტირების საერთაშორისო სააგენტოსთან (ITA) სისხლის ანალიზის ახლებური ტესტირების მეთოდის შემუშავებადანერგვაზე თანამშრომლობის მემორამდუმი გააფორმა. საუბარია მშრალი სისხლის (DBS) ანტისადოპინგო ტესტირებაზე, რომელიც უფრო მარტივი, ეფექტური და იაფი იქნება. ამასთან, ახალი მეთოდი სპორტსმენთა ფართო წრეს მოიცავს, რაც მეტი თაღლითის გამოვლენასაც შეუწყობს ხელს.**

ტესტირების ახალ პროგრამას შეუერთდნენ იაპონიის, აშშ-ის, შვეიცარიის, ჩინეთისა და ავსტრალიის ანტისადოპინგო სააგენტოებიც. მოსალოდნელია, რომ ტესტირების ახალი მეთოდი ტოკიოს ოლიმპიურ და პარალიმპურ თამაშებამდე დაინერგება.

„WADA სუფთა სპორტის დასაცავად და სპორტსმენთა დისკომფორტის შესამცირებლად, ასევე იმისთვის, რომ ანტისადოპინგო ტესტირება უფრო მარტივი, ეფექტური და იაფი გახდეს, ახალი საშუალებების შემუშავებისკენ ისწრაფვის. DBS, შესაძლოა, ანტისადოპინგო ტესტირებაში გარღვევა გახდეს“, – მეცნიერების დარგში WADA-ს დირექტორის **ოლივიე რაბინის** სიტყვებს იშველიებს სააგენტოს ოფიციალური გვერდი.

გარდა ამისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ თამაშებამდე აღებული დოპინგსინჯების ხანგრძლივი ვადით შენახვის წინადადებით გამოდის.

„IOC ოლიმპიურ თამაშებამდე აღებულ სინჯებს 10 წლის განმავლობაში ინახავს. სინჯების უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვა ტესტირების ახალ მეთოდთან ერთობლიობაში დამატებითი შემაკავებელი ფაქტორი იქნება,“ – განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **თომას ბახმა.**

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

დღეს – პერი

შანხაის მასტერზის წყვილთა თანრიგს ნიკოლოზ ბასილაშვილი გამოეთიშა

მან რადუ ალბოტთან ერთად ზებალოს – გრანოლერსის ტანდემთან 2:6, 3:6 წააგო. ქართულ-მოლდოვურმა დუეტმა ორი შესაძლებლობიდან ვერც ერთი ბრეიკი ვერ შეასრულა, ხოლო მეტოქემ 10-დან ოთხი ბრეიკი გაახერხა.

ნიკა შანხაის მასტერზის ერთეულთა თანრიგში ალბოტთან გამარჯვების შემდეგ დღეს ფრანგ ბენუა პერს შეებმება, რომელმაც მარკო ჩეკინატოს 6:2, 7:5 აჯობა. ქართულ-ფრანგული დაპირისპირება დღეს გაიმართება. ურთიერთშეხვედრებში პერი 3:0-ს იგებს.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან



„დიდ ფიცარნაგს“ ვერ ღალატობს

ავადსახსენებელი სოციალისტური ბანაკი ახალი დაშლილი იყო, როდესაც აღმოსავლეთ ევროპელმა ლამაზმანებმა მთელს მსოფლიოში გააღწიეს და საკუთარი ხიბლით დაატყვევეს აქამდე "რკინის ფარდის" აქეთ მცხოვრებ ტურფათა მშვენიერების არმცოდნე დანარჩენი დუნია.

ერთ-ერთი პირველთაგანი „ჩვენებური“ მოდელი, რომელმაც ელიტაში წარმატებას მიაღწია, ყოფილი სლოვაკი მოცურავე მარტინა ვალკოვა იყო, რომელმაც იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთში ძალიან კარგი კარიერა გაიკეთა და ყველას დაუმტკიცა იქაურ მიწაზე მობინადრე ასულთა განსაკუთრებულობა.

იგი უკვე 43 წლისაა, მაგრამ ეს ფაქტი მას კარიერაში ხელს ჯერჯერობით ვერ უშლის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ძირითადად მხოლოდ დიასახლისთა სამოსის გასაპიარებელ ჩვენებებზე იწვევენ, მარტინა ვალკოვა „დიდი ფიცარნაგიდან“ წასვლას არ ჩქარობს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფუტოროლოგია

აკი, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა „გადავარდაო“?!

მსოფლიოს წამყვან ფუტუროლოგთა ავტორიტეტული ჯგუფის აზრით, ბოლო ოცდაათი წელია, მსოფლიო პროგრესირებადი დეგრადაციის პირობებში არსებობს, თანაც ასეთივე ნაკლებად ოპტიმისტურ პროგნოზს გამოთქვამენ მომავალი სამი ათეული წლის თაობაზეც.

მაინც რომელია უფრო დიდი საფრთხე, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას – დიდი ომი, ეკონომიკური კოლაფსი თუ ეკოლოგიური ან ტექნოგენური კატასტროფები?

ზოგი ექსპერტის აზრით, ყველაზე სერიოზულ საფრთხეს სხვადასხვა ტენდენციების მიერ ერთმანეთის „გადაფარვა“ წარმოადგენს. შეიძლება ვიკამათოთ იმის თაობაზე, დათბება თუ აცივდება დედამიწაზე მომავალში, მაგრამ არავინ დაიწყებს დავას იმის თაობაზე, რომ დროთა განმავლობაში კლიმატი სულ უფრო მეტად არამდგრადი და ექსტრემალური გახდება. ამის საუკეთესო მაგალითი თუნდაც წლევანდელი ზაფხულია. გასათვალისწინებელია ასევე ტექნოგენური კატასტროფების უაღრესად მწვავე საკითხი, მაგრამ ეს უფრო ცალკე საუბრის თემაა.

მსოფლიო საზოგოებისთვის გაცილებით უფრო მტკივნეულია **ეკონომიკური კოლაფსი,** ვინაიდან მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული დაიწყო **კაპიტალიზმის შეუქცევადი კრიზისი,** რისი პირველი მკაფიო გამოვლინება საბჭოთა კავშირის დაშლა იყო. ქვეყანაში არსებული წყობა კი იყო სოციალისტური, მაგრამ ის მსოფლიო სამეურნეო წარმოების კაპიტალისტური სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი დაშლის შემდეგ ჯერი ახლობელი და შუა აღმოსავლეთის რეგიონების ქვეყნებზე მიდგა, ამჟამად კი ძალიან დიდი პრობლემები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და ჩინეთში იკვეთება.

ყველაზე დიდი პრობლემა კი ისაა, რომ ცივილიზაციის არსებობის მანძილზე არის აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდები. **ამჟამად ჩვენ დაღმავლობის ხანაში ვიმყოფებით და, მკვლევართა თქმით, ეს ვინმეს ბოროტი განზრახვა კი არა, დინამიკის კანონზომიერებაა.**

დავოსის ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, **ბოლო 50 წლის განმავლობაში ცხოვრების ინტენსივობა ორჯერ გაიზარდა.** არადა, ნეიროფსიქოლოგებისა და ნეიროფიზიოლოგების გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ **ცვლილებების მიმართ არა სოციალურად, არამედ ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად შესაგუებლად, ადამიანს, სულ მცირე, 100 წელი სჭირდება(!).** როცა ხალხს მისთვის ზედმეტად სწრაფ ტემპში ცხოვრებას აიძულებენ, სტრესები და ნერვიული სნეულებები საყოველთაო მოვლენა ხდება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, უკვე 2025-30 წლებისთვის სტრესები, ფობიები და ა. შ. მსოფლიოში გავრცელებული სახიფათო დაავადებების ნუსხაში მესამე ადგილზე გადავლენ ონკოლოგიისა და გულსისხლძარღვთა სნეულებების შემდეგ. ამიტომაც, სავსებით გასაგებია ამერიკის, ევროპისა და აზიის შეძლებულ პირთა ფენის უდიდესი ნაწილის მეგაპოლისებიდან საცხოვრებლად პატარა ქალაქებსა და დასახლებებში გადასვლის სწრაფვა.

ბოლო სამი-ოთხი ასწლეულის მანძილზე კაცობრიობა გამუდმებით აგნებს რაღაც ახალსა და სახიფათოს. **ნებისმიერ ტექნოლოგიას სამმაგი დანიშნულება აქვს – სამოქალაქო, სამხედრო და კრიმინალური.** ამის მიუხედავად, საზოგადოებას არ შეუძლია რაღაც ტექნოლოგიებზე უარის თქმა იმ მარტივი მიზეზით, რომ მისი გამოყენება თუნდაც პოტენციურ მოწინააღმდეგეს შეუძლია.

ბოლო 50 წლის მანძილზე მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა კავშირების ინტენსივობა და სიმჭიდროვე: ვთქვათ, თუ უწინ ამერიკიდან ევროპამდე წერილის მისვლას 2-3 დღე სჭირდებოდა, ამჟამად ეს 2-3 წამში ხდება. თანაც, ასეთ ბარათში, მომხმარებლისთვის უხილავად, შესაძლოა, ვირუსი იყოს შეფუთული, რომელიც კომპიუტერს დაბლოკავს, ან კიდევ უფრო ცუდ შედეგს დააყენებს. თანამედროვე სამყარო უწინდელზე გაცილებით უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირების სისტემითაა შემოსილი, არადა **საყოველთაოდ ცნობილია: რაც უფრო რთულია სისტემა, მით უფრო მყიფეა.**

ამდენად, ცხადი ხდება, რომ უმთავრესი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ **სულ რამდენიმე წელიწადში მთელი მსოფლიო ინტერნეტის პირობებში იცხოვრებს. ყველაფრის ინტერნეტი კი სამყაროა, სადაც ყველა საფრთხე ორჯერ და გაცილებით მეტჯერაა გაზრდილი.** ჩვეულ სამყაროში, ადამიანი იმაზეა დაყურადებული, რომ თვალყური ადევნოს ყველა რიკსა და ხიფათს, ყველაფრის ინტერნეტში ყველაფერს – მაცივრიდან დაწყებული საცხოვრისითა და უმძღოლო ტრანსპორტით დამთავრებული – კომპიუტერები განაგებენ. თუკი უწინ სახლის ღია კარში მძარცველები შედიოდნენ, ახლა ძარცვა შორიდან გახდება შესაძლებელი: მაგალითად, ყველა შესასვლელ-გასასვლელის დაბლოკვა და ამის მოხსნაში გამოსასყიდის მოთხოვნა.

არაერთი ფუტუროლოგი შეშფოთებით აცხადებს, რომ **ახლო მომავალში კაცობრიობა აღარ იქნება ერთიანი სახეობა: ის დაიყოფა კიბერელიტად, მის მომსახურეებად და დანარჩენებად.** მეტიც: ასეთი დაყოფა ამჟამად ჩვენ თვალწინ ხდება. უბრალოდ პროცესი ნაწილობრივ მიზანმიმართულად ინიღბება, ნაწილობრივ კი ხალხი მას ვერ აღიქვამს. **ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა კიბერელიტაზე, არამედ ზოგადად, ძლიერებზე ამა ქვეყნისა, რომლებსაც, ხელისუფლების სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მაღალი ტექნოლოგიების ბოლო მიღწევების საკუთარ სამსახურში ჩაყენება შეუძლიათ.** მაგალითისთვის შეიძლება იმის მოტანა, რომ 21-ე საუკუნის დამდეგიდან მკვეთრად, შეიძლება ითქვას, ნახტომისებურად გაიზარდა მსოფლიო ელიტის უმაღლეს წარმომადგენელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. კერძოდ, **დევიდ როკფელერი** გარდაიცვალა თითქმის 102 წლის ასაკში, თანაც ნათესავებს უთხრა, რომ სიცოცხლისგან დაიღალა და დასვენება სურს. 96 წლის **ჰენრი კისინჯერი** დღესაც თითქმის ყოველ კვირა მოძრაობს ამერიკას, ევროპასა და აზიას შორის, ინგლისის დედოფალი ელისაბედ II და მისი მეუღლე **ფილიპე** კარგა ხანია, 90 წელს გადაცილებულები არიან, მაგრამ რეგულარულად მონაწილეობენ ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ღონისძიებაში.

დღესდღეობით ჩვენ ვართ იმის მოწმენი, რომ კაცთა მოდგმაში სრულყოფის ორი მიმართულება ყალიბდება. **პირველი, რომელიც დიდადაა გაპიარებული – ესაა თავის ტვინში ჩიპის ჩანერგვა, რაც ადამიანისა და მანქანის ერთიანი ფსიქიკის შექმნას გულისხმობს.** სადღეისოდ რეალობაა, რომ ელიტის წარმომადგენლებს უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი ლინზების ტარება შეუძლიათ, რომლებზეც პროექტირდება მთელი ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რას ან ვის ხედავს მათი მატარებელი.

თანაც ეს მხოლოდ დასაწყისია. გაცილებით უფრო სერიოზული რაღაცებია ინდივიდუალური მედიცინა და სინთეტური ბოლოგია. დღესდღეობით უმაღლესი მსოფლიო ელიტის წარმომადგანლები მკურნალობენ არა ყველაზე ძვირადღირებული, მაგრამ მაინც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წამლებით, არამედ კონკრეტულ პირზე გათვლილი ბუნებრივი, ან ქიმიურად სინთეზირებული ელემენტების კომპოზიციებით. ინდივიდუალური მედიცინა უკვე 5-7 წელია, ფუნქციონირებს და ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, თუმცა კი მის გამოყენებას არა მარტო სიცოცხლის ხანრძლივობის ზრდა, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დღეგრძელობის აქტიური ფაზის შენარჩუნება და გაგრძელება მოჰყვა.

რაც შეეხება სინთეზურ ბიოლოგიას, **ეს ადამიანის ახალი სახეობის შექმნის პირდაპირი გზაა.** წლეულს მსოფლიო მედია მოიარა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩინეთში მოღვაწე ესპანელმა მკვლევარმა **პირველად ხელოვნური გზით შეძლო მოდიფიცირებული თვისებების მქონე ადამიანის ემბრიონის გამოყვანა.** ასეთი ცდები აკრძალულია ამერიკის შეერთებულ შტატრებსა და ევროკავშირის ქვეყნებში, მაგრამ კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ თუკი ვიღაცამ რაღაც ორიგინალური გამოიგონა, ეს გამოგონება ადრე თუ გვიან ძლიერთა ამა ქვეყნისა ხელში ხვდება...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

სანთელი

მერაბ მაჩაიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

დარეჯან (ია) ჭანიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის მეუღლეს, შვილებს, ოჯახის წევრებს და მეგობრებს, ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

თეონა მიქაძე და თამთა გურული ოჯახებით თანაუგრძნობენ მირზა დოლიძესა და ლალი მაჩაიძეს დედისა და დედამთილის, ქალბატონ

დარეჯან ჭანიშვილის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს კოტე და თამარ ქავთარაძეებს დედის და დედამთილის

ნორა ვიქტორის ასული ქავთარაძის

გარდაცვალების გამო.

რუსთავში 35 წლის მამაკაცის განზრახ მკვლელობისთვის ხუთი პირი, მათ შორის, ორი მოქმედი და ერთი ყოფილი სამართალდამცველი დააკავეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში მომხდარი 35 წლის მამაკაცის მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს.

როგორც შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული გ.ა. გარდა ამისა, ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულები არიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები – 1992 წელს დაბადებული მ.ღ. და 1981 წელს დაბადებული დ.მ. აღნიშნული ბრალდებით ასევე დაკავებულია ყოფილი სამართალდამცველი: 1989 წელს დაბადებული დ.დ. ხოლო ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით – 1989 წელს დაბადებული გ.გ.

„გამოძიებით დგინდება, რომ განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულმა გ.ა.-მ და მისმა თანამზრახველმა 1983 წელს დაბადებულმა ზ.ჯ.-მ წარსულში არსებული დაპირისპირების და შურისძიების მოტივით 35 წლის მამაკაცის მკვლელობა დაგეგმეს. მსხვერპლის ქალაქიდან მოტყუებით გაყვანის მიზნით მათ დახმარებისთვის მიმართეს ცრუ ჩვენებისთვის ბრალდებულ გ.გ.-ს, ორ პოლიციელს და ყოფილ სამართალდამცველს. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს, გ.გ.-მ გლდანში მის კუთვნილებაში არსებულ ავტომობილში ჩაისვა 35 წლის დ.მ. გლდანში ავტომობილით მოძრაობის დროს, ისინი ვითომ შემთხვევით შეხვდნენ პოლიციის ფორმაში მყოფ სამ პირს. მათ ავტომობილიდან გადმოიყვანეს დ.მ., უკანონოდ აღუკვეთეს მას თავისუფლება, ჩაიყვანეს რუსთავში და გადასცეს ზ.ჯ.-სდა გ.ა. აღნიშნულმა პირებმა დ.მ. ჩაიყვანეს მტკვრის ნაპირზე და ცივი იარაღით მიაყენეს მრავლობითი დაზიანებები. კვალის დამალვის მიზნით გარდაცვლილის ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდეს. დ.მ.-ს ცხედარი 5 ოქტომბერს, რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვარმა გამორიყა.

მომხდართან დაკავშირებით ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკვე დაკავებულია ხუთი პირი, ხოლო განზრახ მკვლელობაში მონაწილე, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი 1983 წელს დაბადებული ზ.ჯ.-ს მიმართ მისი დაკავების მიზნით ტარდება აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები“, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გახსენება

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი

უდიდესი მონატრებითა და მეგობრული სიყვარულით იუწყებიან, რომ ა. წ. 8 ოქტომბერს დაბადებიდან 77 წელი შეუსრულდებოდა ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელსა და პირველ თანათავმჯდომარეს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის დიდ მოამაგეს, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილ თავკაცსა და სახალხო გენერალს, ჩვენი ქვეყნის ელიტური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, მეგობრებისა და ახლობლების მუდმივ ქომაგს, სიკეთის კეთებისა და სიკეთის დანახვის უბადლო ოსტატს, ღვაწლმოსილ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

დემურ მიქაძეს

ფოტოხაფანგი



დათუნია მტირალას ეროვნულ პარკში

გარდაცვლილის ცოლობას ხუთი ქალი იჩემებს...

ინდოეთის ქალაქ ჰარდვარში კაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, პოლიციის განყოფილებაში კი მისი ცხედრის წამოსაღებად ნებართვის ასაღებად 5 ქალი მივიდა - ხუთივემ განაცხადა, რომ გარდაცვლილის მეუღლეა.

პავან კუმარი მძღოლად მუშაობდა და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. 29 სექტემბრის საღამოს, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ცოლმა ის საავადმყოფოში წაიყვანა, თუმცა ექიმებმა ის ველარ გადაარჩინეს. უცნობია, რა გახდა კაცის მიერ თვითმკვლელობის მოტივი.

მას შემდეგ რაც ექიმებმა კაცის სიკვდილის ფაქტი დაადასტურეს, პოლიციაში ერთმანეთის მიყოლებით ხუთი ქალი მივიდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ გარდაცვლილი მათი მეუღლე იყო და ცხედრის წაღება სურდათ.

თითოეული ქალი ირწმუნებოდა, რომ ის ერთადერთი იყო კუმარის ცხოვრებაში, თუმცა არც ერთს ქორწინების მოწმობა არ ჰქონდა. პოლიციამ ქალებს შესთავაზა ამ საკითხში თავად გარკვეულიყვნენ და მოელაპარაკათ, თუ როგორ გააცილებენ კაცს უკანასკნელ გზაზე.

„სად არის მამაჩემი“?

პარიზში ათობით ათასმა ადამიანმა ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით კანონში დაგეგმილი რეფორმები გააპროტესტა. კანონში ცვლილებები პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პირველი მთავარი სოციალური რეფორმაა. ამის შესახებ ინფორმაციას Thef Guardian-ი ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, კანონი დაასრულებს ქალთა რეპროდუქციულ უფლებებზე არსებულ დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს მარტოხელა ქალისა და ლესბოსელი წყვილის მიერ სამედიცინო დახმარების შედეგად შვილის ყოლის უფლებას.

აქციის მონაწილეებს, რომელთა შორისაც იყვნენ კათოლიკური ჯგუფების წარმომადგენლები, ულტრამემარჯვენე აქტივისტები და სხვები, ეჭირათ ბანერები წარწერით: „სად არის მამაჩემი?“. გამოცემის ცნობით, აქციის მონაწილეთა შორის ასევე იყვნენ ის გაერთიანებებიც, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს ეწინააღმდეგებიან.

ხულიგანი... ირემი

აშშ-ში, კუნძულ ლონგ-აილენდზე ირემი სილამაზის სალონში შეიჭრა და დაარბია.

ინციდენტის ვიდეოს ტელეარხი ABC* Eyewitness News ავრცელებს. ირემმა სალონის ფანჯარა ჩატეხა და ქალს გადაახტა თავზე, რომელიც შესასვლელთან იჯდა. ქალმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო და ექიმს მიმართა.

როცა პოლიცია მივიდა ინციდენტის ადგილზე, ირემი გაქცეული დახვდათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9657; ევრო - 3.2572;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6582;
100 რუბლი - 4.5763; თურქული ლირა - 0.5204;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7444;
1000 სომხური დრამი - 6.2239.

ამინდი 8 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge